

140  
1950/2

1 12



1950

წიგნების

№ 12

# წიგნები






საბავშვო ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ქოველთვიური საბავშვო უფრადი

გამომცემლობა

„კომუნისტი“

წელიწადი XXV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



17 ივნისის არჩევანი იეს ქუჩიძე

ამდროს რუსეთს ევროპაში, უხილავ ვიწროვან ვიწროვან,  
გაყრდნობას ევროპაში ის თქმე მანდალ ქართლი,  
- რა ამყარე გაიღივს, ვით ბუნდურ ვაიღივს,  
სიმღერები ხარბივს, სიღყვა: ხარბის რჩეული!

ერთი რამ მინაცხივს, ავღვე რიღა - ადრიან...  
საღამე ვურაღებს რაჭყიან, მეუ იქ ვაჭრღო წიხვარი:  
ამიღმთაე ვიჩქარი, რომ უკვარღო წიხვარი -  
იქ ვიღმბღს, იქ არი ხარბი ვაჭყიხვარი.

ჭეი, ხარბის მღხარღო, ყნღა მეღმღღ ვაჭყარღო,  
ყნღა რაჭყი რე ყნღო რაჭმანღს მოყღღღღღღღ;  
ჩვიღს ქვიღანღს ვით რაღღღღღღ, ვავიღმღღღღღ, ვღმბ ნაღღღღღ,  
უღი ლახით ხმღს ვაღღღღ ვომყარღღღღღ მღმღღღღღ.

ი. მუხომედიანი



# პიონერების წერილი მიხეილ ჭიაურელს

ჩვენ ვნახეთ თქვენი სურათი, რომ უმღერს დიად განთიადს,  
რევოლუციის ქარიშხალს, ლენინ-სტალინის პარტიას;

ჩვენ ვნახეთ „ფიცი“, ბავშვები ვუყურებდით და ველავდით,  
როს შორდებოდა ბრძენს ბრძენი, დიდ ბელადს—დიდი ბელადი!

ვნახეთ „ბერლინის დაცემა“—ჩვენი სამშობლოს დიდება,  
ვნახეთ და იგი არასდროს, არასდროს დაგვევიწყდება!

მიიღეთ ჩვენი მადლობა და სიყვარული გულწრფელი,  
რომ დაგვიხატეთ სამშობლოს ბევრი გამორული ფურცელი.

ეს ერთი თხოვნაც თან ერთვის ამ ალაღმართალ მადლობას,  
რასა გთხოვთ?— გვინდა გვიჩვენოთ სტალინის ახალგაზრდობაც.

გვინდა ეკრანზე ვიხილოთ მისი ბავშვობა დიადი,  
მისი უკვდავი აკენი და გორის ციხე ზეიადი;

ვიხილოთ ნორჩი სოსელო, მისგან ქარიშხლის ანთება,  
და „დილას“ მწველი წყრილით მგოსანთან გამოცხადება.

ვიხილოთ, როგორ უსმენდა ილიას ბავშვი გენია,  
რომლის სიბრძნეს და სინათლეს მამული აღუდგენია.

უმედეგ ვიხილოთ თბილისში ჩამოფრენილი კმაწვლილი,  
ლენინის ნახვის მნატრელი, მზისაკენ ხელეგაწვდილი!

ისე, რომ დიდი სტალინი როცა თვით ნახავს ამ სურათს,  
შეპლიმოს თავის ბავშვობას მან მოწონების დასტურად!..

ნუნა პერელავა





VI

მორე დღეს ხემიდი უკეთ გახდა, დაუცხრა ტყვილები, ახლა მხოლოდ ლურჯი ზოლები ანდა ზურგზე. ნარგიზას იმედი მიეცა, იქნებ გაემზარდოს ეს ერთი ძმა და იმედოდ მეყოლოსო. მერის მოტანილი ცივი მჟაღი და კვერცხი აქამა. თვითონაც დაწაყრა. შემდეგ სახლის წინ გამოვიდნენ, ხის ქვეშ დასხდნენ და თავიანთ მდგომარეობასზე ალაპარაკდნენ.

ნარგიზამ ჯერ დედა მოიგონა, მოიტერა. შემდეგ გულაჩუყებულ ძმას მოულოდნელად, ხელ მოხვია და გამხნეება დაუწყო:

— ნუ გეშინია, ვაიზრდები, ძალონე მოგმეტება, მუშაობას შესძლებ...

— მანამდე?! — შეაწყვეტინა სიტყვა ხემიდა.

— მანამდე?! — გაიმეორა ნარგიზამ და ჯერ გააჩრდილი ეზო და შემდეგ სახლის წაფრადებული კედლები შეათვალიერა. — მანამდე! მანამდე ალამაია მოწყალე, ვაგვიჩენს რამეს. — და მოაგონდა, დედის დასაფლავებისას მეზობლის ქალმა სანუგეშოდ რომ უთხრა: სიმინდის ყანებს რომ ავიღებთ. თითო-ორილა კოთხო სიმინდს ყველა შეგეწევით და მეტი თქვენც არ დაგჭირდებათ. — ჰოდა, ტანებზე მოვითმინოთ, — დაუმატა ნარგიზამ.

პატარა ხემიდის თვალებში იმედის ნაპერწყალმა გაიკაფა, იქნებ მართლაც არ გაგვიწიროს ბედმაო.

ბავშვები ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ეზოში მუჭტარი (მამასახლისი), ჩაფარი და ორი მოხუცი გლეხი შემოვიდნენ და ბავშვებს მოუახლოვდნენ.

\*) დასარტული. დასაწყისი იხ. ეფრ. „ბიონე-რის“ № 11-ში.

— მარტო ხართ? — გადაჰხედა მათ მუჭტარმა.

ბავშვებმა თავები დაჰხარეს და ცრემლები წასკდათ.

— ნუ გეშინიათ, — უთხრა მათ მუჭტარმა. — ობლობით არ დაინაგრებით, მთავრობა იზრუნებს თქვენზე. — მიიხედ-მოიხედა და შემდეგ სახლი შეათვალიერა. — სახარბიელ არაფერი გაქვთ, — ჩაილაპარაკა მან, მაგრამ კარგ პატრონს მოვინახავთ.

ბავშვებმა ერთმანეთს შეხედეს და სახე უფრო დაუნაღვლიანდათ.

— ერთმანეთს ჩვენ უფრო ვუპატრონებთ, — გაბედა ნარგიზამ.

— ჩვენ ხომ პატარები არა ვართ, სხვა პატრონი გვეპიროდეს! — წამოეშველა დას ხემიდი.

— არა, არა, — გაჯავრებით გადახედა მათ მუჭტარმა. — თქვენზე მთავრობა ზრუნავს, ნაბრძანები ვაქვს, არც ერთი ობოლი არ დატეოვით მზრუნველის გარეშე. ნუ გეშინიათ, არაფერი არ დაგეკარგებათ, ყველაფერს ავეწერთ და ისე ჩავაბარებთ სახლს კაცს. — ამ დროს ეზოში შემოსული სელიმ-ალა დაინახა და განავრძო: — აი ისიც მობრძანდება. ჩვენი სოფლის მფარველი და პატრონია... მობრძანდით სელიმ ეფენდი, სწორედ ახლა გახსენებდით. — მიეგება, მდაბალი სალაში მოახსენა.

სელიმ-ალა მართლაც ბატონ-პატრონი იყო ამ კუთხის. კონტრაბანდისტობიდან დაიწყო მისი მოღვაწეობა, შემდეგ ვაჭრობა დაიწყო, ყიდდა მარილს, ჩითს, დელფინის ქონს, მუქთად ივლებდა ხელში ადგილობრივ მცხოვრებთა მონაგარს და

დღე-ღამეზე მდიდრდებოდა. მალე რამდენიმე ოჯახი სულ გააქრო—მათი მიწა-წყალი შემოიერთა. ვეებერთელა სასახლე წამოიჭიმა, და დღეს სელმა-აღა ნახევარ სოფელს ფლობს.

— მთავრობის აზრია, თქვენ ჩაიბაროთ ეს ობლები და მათი ქონება საპატრონოდ. — მორიდლებით უთხრა მუქტარმა სელიმ-აღას. სელიმ-აღამ ხელში კრიალოსანი შეათამაშა, წარბები შეხზარა და ბავშვებს გადახედა.

— ორი ოყა მკაიდი არ ეყოფათ ჯერზე! — შემდეგ სახლი შეათვლიერა. — ბოსლადეც არ გამოდგება! ეზო ზომ სულ გაუჩანა-გებიათ... არა, აბა, როგორ შემოიძლია... აგერ ხსიას ჩააბარეთ.—და მოხუც გლენს გადახედდა:—წაიყვანე, შენი ხისიმბია.\*

— თუ მთავრობა ინებებს... — მოყრბალებით ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— თავი ვერ გირჩენია. — შეუბღვირა მას მუქტარმა. — სელომ ეფენდი, უარს ნუ გვეტყვი, ალლას შეხედე...

სელიმ-აღამ ვაჭრული თვალები გადაავლო შეძლებულ ლუქმას.

— ამ ოჯახიდან კარგი არა მახსოვს რა, მაგრამ...—ჩაილაპარაკა მან.

— მამის დანაშაულს შვილები გამოისყიდინან, სელიმ ეფენდი, შენი მონა მორჩილი იქნება, ყურმოჭრილი მონა. — და მუქტარი ბავშვებს მიუბრუნდა:—ხომ გესმით. სელიმ ეფენდის პატრულსმცემელი უნდა იქნეთ თქვენს სიცოცხლეში, მის ნება-სურვილზე იაროთ.—იქ მყოფთ გადახედა. — მობრძანდით, ააწეროთ რა გააჩნიათ ამ უბედურებს. —და სახლსკენ წავიდა. მას ჩაფარი და გლენები მიყვნივ. სელიმ-აღა კი მომალლო ადგილას გაჩერდა და იქიდან დაუწყოთ თვალსივარება ამ ეზომიდამოს, რომელიც დღეიდან მის ხელში უნდა გადასულიყო.

ბავშვები ერთმანეთს მიჰკროდნენ და ისე იდგნენ. ისინი იხედებოდნენ ხეც გაღმა — საზღვარს იქითა მხარეს, სადაც მათი ტოლი გოგო-ბიჭები სკოლის ეზოში შეგროვილნი მხიარულად ქრიაშულობდნენ.

— რა ახლო მანძილია, მაგრამ რა ძნელი მისასვლელია იქამდე! — ორივეს ერთი და იგივე ფიქრი უტრიალებდა თავში. — რა ახლოსაა და რა შორს. — და ორივე ერთი-დაიმავე დროს ამოიოხრებდა.

მუქტარი მალე გამოვიდა სახლიდან და სელიმ-აღასთან მივიდა.

— ისეთი არაფერია... სახლს რომ ხედავთ, ისაა. — ყურში წასჩურჩულა: — ერთი სპილენძის ქვაბიც არის, მაგრამ არ ჩამიწერია, ნაღვი ფულა და...

აღამ ცალი ყბით ჩაიცინა.

— გაიწვილეთ. — ჩურჩულითვე უთხრა მან. შემდეგ ბავშვებს გადახედა: — თქვენ იცით, როგორც მუქტარმა გიბრძანათ ისე მოიქეციეთ... მამულას ვეტყვი და საწოლს მიგჩინებ. ბოსელი კარგი მაქვს, ლოგინი თუ გაგაჩნიათ, გადაიტანეთ... ალლაჰი ილოცეთ, რომ ასე ზრუნავს თქვენზე მთავრობა, თორემ შემწილით დაიბოცებოდით. — მიბრუნდა და ნელი ნაბიჯით, წავიდა.

— კეთილი კაცია. — უთხრა გლენებს მუქტარმა და მიმავალ სელიმ-აღას დაედევნა.

— კეთილი კაცია, კეთილი კაცი!—გაიმეორეს გლენებმა: — ისე მაგას მიეცეს სიკეთე...—დაუმატეს და ზიზღით გააყოლეს თვალს მიმავალ სელიმ-აღასა და მთავრობის წარმომადგენლებს.

— ვაი ჩვენი ბრაღი. — ამოიოხრა ერთმა გლუნმა და ხელო ჩაიჭინა.

ბავშვები იდგნენ უხზოდ, ხან სახლს შეხედავდნენ, ხან ეზოს, ხან ხეცს გაღმა გაფრენილ ჩირტს გააყოლებდნენ თვალს და მის ბელს შენატროდნენ.



\* ხისიმი — ნათესავი

ბავშვები ჯერ კიდევ უხმოლ იდგნენ და თავიანთ თავზე ფიქრობდნენ, რომ ეზოში სელიმი-ალას მოჯამაგირე მამული შემოვიდა ღი-ლინით.

— აა, როგორ გაქვს გვერდები ვაქაცო! — და ხემიღს გადახედა. — არა უშავს, ძალი კოკლავით არ მოკვდება, გამოგაჩევე, გამოგ-წედა და კაცი გამოხვალ; ვისაც შოლტის გამო არ უნახავს, მან ცხოვრება არ იცის. სელიმ ფეხდამ შენი გაწვრთნა მე დამავა-ლა ნუ გეშინია, ისე არ მოგექცევი, როგორც მე მექცეოდნენ, ხანდახან ვაჯობავა შენც უნდა მოითმინო. — მიბრუნდა და ქონში ისე შევიდა, თითქო საკუთარ სახლში შესულ-ლოს.

ბავშვებს ამისათვის ყურადღება არ მიუქ-ცევიათ, უკვე იცოდნენ, რომ ახლა ისინი თავიანთ გამარჯულ ოჯახიანად სხვის საკუთ-რებას შეადგენდნენ და სხვის ნება-სურვილ-ზე უნდა ევლოთ.

მამული რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვი-და სახლიდან, მას ქვაბი, ტაშტი და რაღაც წერილობანი მურქული გადაება თოკით ერთ-მანეთზე და აეკიდებია. ბავშვებთან რომ გა-მოიარა, შეჩერდა და ნარგიზას გადახედა:

— წამოდით, აქ რას უდგევართ?! მუქთად ხში არ უნდა გარჩინოთ, იმოდენა საქმეა გასაკეთებელი... საკვირველია, როგორ იცის-რა თქვენი პატრონობა აღამ, ცარიელი ოჯა-ხი გქონიათ...

კიდევ რაღაცეები ილაპარაკა. მაგრამ ბავ-შეებმა რომ ხმა არ გასცეს, მიბრუნდა და თავისებური ღიღინით გაუდგა გზას.

— საზიზღარი! — ჩილაპარაკა ნარგიზამ და მძას შეხედა.

— არა, მე მაგასთან არ წავალ. აღას ოჯახში სიცოცხლეს სიკვდილი მიჩრქენია! — ამოილაპარაკა თავისი გულის დარდი ხე-მიღმა.

— მეც. — დაემოწმა და.

— მაგრამ... — მიხედ-მოხედა ხემიღმა.

— გავიქეთ აქედან და ის იქნება. — თით-ქო გამოსავალი იპოვნა ნარგიზამ.

— მართალია, გავიქეთ. — თვალები გა-უბრწყინდა ხემიღს. — მაგრამ საითქენ?

— საითქენ? — ნარგიზამ ოთხზე მხრივ მიიხედ-მოიხედა და ბოლოს თვალები ხეცს გაღმა გორაკზე გაშენებულ სოფელს მია-ჩერა.

ხემიღმაც დას მიბაძა და თვითონაც ხეცს გაღმა დაიწყო ცქერა.

ერთხანს უხმოლ იდგნენ, ერთმანეთს არა-

ფერს ელაპარაკებოდნენ, მაგრამ რასაც თვლი-რობდნენ, ორივესთვის გასაგები იყო, — ერთნაირი იყო მათი ფიქრი და ოცნებაც.

— რომ შეგენიშნონ... — ჩუმად ჩილაპა-რაკა ხემიღმა.

— არა, მე ვიცი ისეთი გასაძრომი, რომ ვერ შეგენიშნავენ, გახსოვს ამასწინათ ოს-მანას ხბო რომ გაქვრა... — და ნარგიზამ მძას თავისი მოსაზრება გააცნო.

— გვიან, გათენებისხანს, როცა ასკერები მორბევით მიეყრებოდა, ან ეზო-ეზო დაიწყებენ ხეტილს, მაშინ, პირდაპირ ჭაივრბი-ნით ღელეში, ფრთხილად გავეყრებით ეკ-ლიან მათეთულხართში და...

ხემიღს სიხარულისაგან აცაცხავა.

— და საბჭოების ქვეყანაში მოგხვდებით, იმ წითელ ყელსახვევიან ბავშვებთან, ყოველ დღით რომ ქრიაშულით ავსებენ იქაურობ-ბას.

საზღვარზე გადაპარვის გადაწყვეტილებამ გაამხიარულა ბავშვები, იმდღით გაუბრწყინ-დათ თვალები, გამოვლილი გაქირვება დაა-ეიწყათ და სასიხარულო მომავლის ნაპერ-წყალი გაუღვივათ.

კოტა ხნის შემდეგ ეზოში მეზობლების ბავშვები შეგროვდნენ და ობლებად დარჩე-ნილი ტოლები მოინახულეს.

ხემიღსა და ნარგიზას ყველანი თვაზი-ნად ეპყრობოდნენ, როგორც ობლებს. გოგო-ნები ნარგიზას ირგვლივ შეგროვდნენ, ვაყები კი — ხემიღისა. დაუწყეს ამბების გამოკითხვა, აღუთქვეს დახმარება. ზოგი შეპირდა სი-მინდს მოიკრათო, ზოგი — ლობიოსა და ყველს. მაგრამ, რომ ვაიგეს, ობლების ოჯა-ხი სელიმ-ალას ჩააბარეს და ბავშვებზე მზრუნველობაც მას ევალებოდა, ძალიან შე-წუხდნენ.

— სელიმ-ალას ხელში ძალიც ვერ გაძ-ლებს. — ნაღვლიანად თქვა ერთმა.

— მამულას სახრეს ეშმაკიც ვერ გადატურ-ჩება...

— იმათთან სიცოცხლეს სიკვდილი სჯო-ბია.

და ბავშვებმა ობლების ბედი დაიტრეს.

— უბედურები! — ჩილაპარაკა ყველა-ზე უფროსმა ბიჭმა, რომელიც აქამდე სიბ-რალულით უცქერდა ხემიღის ნაღვლიან სა-ხეს.

— ბედნიერები იქ არიან. — და ერთმა პე-რანგის ამარა ბიჭმა გაღმისკენ გაიხედა.

სხვებს ხმა არ ამოუღია.

— იცით რა? — საიდუმლო ხმით დაიწყო

ერთმა ბიჭმა. — იმ ქვეყნის უფროსს უთქვამს, ქვეყანაზე რაც ბავშვებია, ყველაზე ერთხანად უნდა ვაცხოვროვო, ერთხანად ჩავაცვა და დავხუროვო, ისე, როგორც იმ აცვიათ ხოლმე.

— იმბოტომაც უყვარს ყველას. იქაური ბავშვები მასზე მღერაან, მის სურათს მალლა აწეულს დაატარებენ.

— მე დამინახავს მისი სურათი, არ ვახსოვო, მაისობა რომ ჰქონდათ სკოლაში და წითელ არმებობთ შემოიბოღს რომ ატარებდნენ!

— როგორ არ მახსოვს.

— მე აქაც მაქვს მისი სურათი, — მოკრძალებით ჩაილაპარაკა უფროსმა ბიჭმა. შემდგ ბავშვები გააფრთხილა: — მაგრამ იცოდეთ, არ წამოგცდეთ, არავის უთხრათ.

— რას ამბობ?! — სისხრული, აღტაცება და გაკვირება გამოიხატა ბავშვების თვალებში. — სად გიშოვნია?

— ეს მე ვიცოდე მარტო.

— გვიჩვენე! — და ბავშვები წრედ შეეგუფდნენ.

ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, მიდამო დაზვიერა, შემდგ უბეში ჩაიყო ხელი, გახეთიდან ამოქრილი სურათი ამოიღო, ფრთხილად გაშალა და ამხანაგებს უჩვენა.

— სტალინი! — სიყვარულით აღმოხდა რამდენიმეს ერთად და ბავშვების თვალებში ბრწყინვალე სხივი ჩაღვა.

და როცა ბიჭმა სურათი ფრთხილად დაეცვა და უბის ჯიბეში ჩაიღო, ამხანაგებმა მას ისე შეხედეს, როგორც უბედნიერეს ადამიანს.

## VIII

სალამომ მოაღწია. ნარგისამ და ხემიდამ რამდენჯერმე ჩაათვალიერეს ის ადგილი, სადაც, მათი აზრით, შესაძლებელი იყო საზღვარზე გადაბარვა. თურქი ასეკრები ხანდახან თუ ჩაივლიდნენ იქ.

შებინდებისას სელიმ-აღას მოჯამაგირე მამული მოვიდა, საქმელი მოიტანა. ის ახლარაღაც უფრო კეთილი ჩანდა. სიყვარულით მოცილობა ბავშვები, თავის გულის დარდი გააცნო, სელიმ-აღასთან ძალიან ცუდ დღეში ვარო, მცემს, მაწვავლებს, მაძიებლებს სხვებსაც ვცემო. აქედანვე გამაფრთხილა, დღეში ორჯერ გაგწეპალოთო. — უთხრა მან ბავშვებს.

— რა გნა, რა დღეში ვარ! — აცრემლდა მამული და ბავშვებიც ააცრემლა. — უნდა გავიბარო, გავიტეცო, მაგრამ საწყალი დედა მეცოდება... თქვენც მეცოდებით, უბედურებო. იმ დღეს, მსხალზე რომ შეგესწარ, — და ხემიდს შეხედა, — განა ისე სასტიკად მოგეცეოდით, ის წყუფული სელიმ-აღა რომ არ ყოფილიყო იქვე ახლოს მოფარებულნი?

ხემიდს გული მოუღო მამულის სიტყვებმა, შეებრაღა. ურჩია, საზღვარზე გადაბარვა ეფიქრა.

— თქვენი ტოლა რომ ვიყო, ამაღამვე გადავებრები საზღვარზე. — თქვა მამულმა, — სელიმ-აღასს ცხოვრებას სიკვდილი სჯობია. — დაფიქრდა და კვლავ განაგრძო: — შეიძლება აბდულიც იქითა მხარეს იყოს გადასული. — მოაგონა ბავშვებს მამა, რომელიც სამი წლის წინ შეიპყრეს პოლიციელებმა სელიმ-აღას დასმენით, როგორც მეამბოხე და საზღვართან ახლოს მცხოვრები საეკუო პიროვნება.

— არა, შამაჩიმი ციხეშია. — ნაღვლიანად უთხრა ხემიდმა და დაეჭვებული ნდობით შეხედა აქამდე მისთვის საძულველ ადამიანს.

— ასე თქვენ გულებნიან, — ხმას დაუწია მამულმა, — არ დაიჯეროთ, ის ციხიდან გაიპარა და საზღვარზე გადავიდა... ეს თქვენ არავის უთხრათ... სარწმუნო კაცისაგან გავიბე.

და-ძმამ ერთმანეთს შეხედეს და თვალები გაუბრწყინდათ.

— მამ, შენ გინდა გვიჩიო საზღვარზე რომ გადავიბაროთ? — საიდუმლო ხმით შეეკითხა ნარგისა მამულს.



— სუ, არაინ გაიგოს! არა, მე როდი ვაძ-  
ბობ ასე, არავის უთხრათ, თითქოს მე გირ-  
ჩევიდეთ საზღვარზე გადახვიდეთ... არა,  
ეს თქვენი ნებაა, — წუთით ჩაფიქრდა მა-  
შული. — დროა წამოხვიდეთ სელიმ-აღასას,  
ნაშპანები მამკეს, ახლავ მინგვიცანო ორთა-  
ვე, მგონია გულმოსულიც არის. ალბათ იმი-  
ტომ, რომ დილიდანვე არ გამოცხადდით  
მასთან. მეშინია, ზედმეტი არ მოუვიდეს,  
გაბრაზების დროს დაუზოგავად იცის ხოლ-  
მე ცემა... წაიღეთ, წამოიღეთ ბარგი. — და  
ბავშვებს უფრო მკაცრად გადახედა.

— მამულ ძია, შენ გენაცვალე, გვიშველე,  
მოვიხერხე, ამაღამ დავრჩებით ჩვენს სახლ-  
ში, დილით აღრიან ვიხსენებთ, ყველაფერს  
გაუწყებებთ, მისი მონა-მორჩილი ვიქნებით.  
— შევედრა ნარგიზა.

— თქვენი თხოვნა რად მინდა. — თანაგრძ-  
ნობით უთხრა მას მამულმა. — მე კარგად  
ვიცი, თქვენ აქ გირჩევიანთ, დაგტოვებდით  
კიდეც, მაგრამ მეშინია, ხვალ უარესი არ  
წაგვიდოთ, წყველი კაცია.

— შენ მხოლოდ ამაღამ დავგეტოვებ აქ და  
ხვალ რაც მოგვივა მოგვივიდეს, ჩვენი ბრა-  
ლი იქნება. — უთხრა ხემიდმა.

— შენ კი ძალიან დაგვიმადლებთ. — დაუმა-  
ტა ნარგიზამ.

მამული დარწმუნდა, ბავშვები სერიოზულ-  
ად ფიქრობენ საზღვარზე გადასვლასო და  
დილით უთხრა მათ:

— კარგი, დაგტოვებთ, მაგრამ ხვალ კი  
სელიმ-აღას ვერ დავენახებებით, იცოდეთ, ძა-  
ლიან გაბრაზებული იქნება.

— მონახერხებთ რამეს. — უთხრეს ბავ-  
შეებმა, მაღლობა ვადაუხსადეს და კმაყოფი-  
ლი გაისტუმრეს სელიმ-აღას მსახურად.

IX

დაბნულდა. ცაზე ვარსკვლავები აჯაფდ-  
ნენ, ხეც გაღმა გორაკებზე გაშენებული სო-  
ფელი თითქო ცას შეეჯობრა — ელანთურე-  
ბით დაიტვირთა და გაბრწყინდა. მყუდროება  
გამეფლდა, ქვემოთ, ხეებში, ორ ქვეყნის შუა  
მდებარე პატარა წყაროს რაკრავი ისმოდა  
მხოლოდ.

ლა-ძმა, თავიანთ სახლის წინ ხის ძირში  
მიმსხლარნი, უხმოდ უგდებდნენ ყურს წყა-  
როს რაკრავს და იმ წაშს შენატროდნენ, რო-  
ცა იმ მორაკრავე წყაროზე გადადგამდნენ  
ფეხს და მეორე ქვეყნის მხარეს მოექცეოდ-  
ნენ.

მთელი ღამე ფხიზლობდნენ ობლები.  
დროს უცვლიდნენ. იმ დროს, როცა თურქი  
ასკერები გათენებისას ჩვეულებრივ წასთე-



ლემდნენ და საზღვრის ხაზს მათი თვალი  
მოშორდებოდა.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, იმ ად-  
გილას, სადაც ბავშვები ფიქრობდნენ გაძრო-  
მას, იმ ღამეს არავის გაუვლია. ნაშუადამიეს  
ასკერებმა მხოლოდ სერი აიარეს და შემდეგ  
არ გამოჩნდნენ.

— ნეტავ არც გამოჩნდებოდნენ! — ნატ-  
რობდნენ ბავშვები და გულის ფანცქალით  
იციირებოდნენ ხევში, სადაც რამდენიმე წუ-  
თის შემდეგ მათ უნდა აეცვლათ.

— აბა დავიძრათ! — წასჩურჩულა ნარგი-  
ზამ ძმას, კაბა მაგრად შემოიხვია ტანზე და  
ფროთხილი ნაბიჯით ჩაყვა ბილიცს. მას ხემი-  
და მიჰყვა, ასე მივიდნენ აკრძალულ ზონამ-  
დე. იქ შეჩერდნენ, მიაველ-მოავლეს თვალი  
იქაურობას და, რომ ვერაფერს შენიშნეს, მავ-  
თულხლართს მიუახლოვდნენ, დაიხარნენ,  
მიწაზე გაწვენენ და ფროთხვით წაედნენ.  
ის იყო, უხდა მავთულხლართში გამძვრა-  
ლიყვანი, რომ უცერად რაღაცამ იელვა პა-  
ერში და მიწაზე გაწოლილი ხემიდის ზურგ-  
ში მსიმედ ჩაეცა.

— ჰაი! — ამოიყვირა ბავშვმა და პირიდან  
სისხლი წასკდა.

— მიშველეთ! — შეჰკვილა ნარგიზამ, მაგრამ  
აქეთ-იქიდან შემოსეულმა ასკერებმა მას ხმა  
დაუხსეს, ხელფეხი შეუტრეს და გაიტაცეს.

\* \* \*

გათენდა. სოფელმა გაიღვიძა. საზღვარზე  
მომხდარი მცველობის ამბავი სწრაფად გა-  
ვრცელდა.

ხიშტით მეკრდგამობილი ხემიდოს ვეპი  
სოფლის შუა ადგილას დაასვენეს და მცვე-



ლები მიუჩინეს. ხალხი ძალით მოჰყავდათ და აჩვენებდნენ ამ უმანკო ადამიანის განგმირულ სხეულს. ათასჯერ ცილს სწამებდნენ უპატრონო ობლებს, რომლებსაც ვითომ საზღვარზე საიდუმლო ქაღალდები გადაჰქონდათ. ეს ქაღალდები ვითომ სამხედრო გამოძიებებს გადასცეს და საზღვრის-პირა მცხოვრებ ქართველების საწინააღმდეგო ბრალდებას დაურთეს.

— დასაბნობი არაა გურჯების მოღვაძე— იძახდა სელიმ-ალა.— დიდბინ-პატარაიანდ უნდა ამოიღო ცილს. — თავის ერთგულ მოჯამაგირეს— შამუდს გადაჰხედავდა და შექების ნიშნად თვალს ჩაუყრავდა, უწონებდა მიხერხებას, რომლის წყალობით მოხდა ყველაფერი ეს.


— ყველაფერი რიგზეა, — ჩილაბარაკა თავისთვის სელიმ-ალა, — ობლებიც მოვიცილეთ და მათი ქონებაც შეგვრჩება.

ხელფეხშეკრული ნარგზა ამოდ ყვიროდა და ეხვეწებოდა ყველას, მიხეუბნებოდა ჩემსა, უკანასკნელად მოეხევიო, გულში ჩაეყარაო. გულში ადამიანები, ნაცვლად შებრალებინა, დასცინოდნენ და მასხარად იგდებდნენ მას.

ხალხი გმინავდა, ბოლმა მკერდის ამოხეთქვას ლამობდა, მაგრამ გასაქანს ვერ პოულობდა.

სოფლის ბავშვები, ფეხშიშველნი, ტანშიშველნი, ირგვლივ შემორკალოდნენ ხემიდის უსულო გვამს და ნაღვლიანი თვალებით უცქეროდნენ მას.

ამ დროს ხევსგალმა სკოლის ფართო ეზოში წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭების მხარული კრიამული ისმოდა. მაგრამ მათ რა იცოდნენ ასკერის ზიშტით განგმირული, მათივე ტოლი ხემიდის ამბავი.



## მ უ ხ ა

სვანეთის მთებში მუხა შრიალბეს ტოტებგაშლილი და ტანნაოლი, ყოველ გაზაფხულს მას ემატება ნორჩი ყლორტები ახალ-ახალი.

შის მოყვარული მისი სიცოცხლე მის ხალისიან კვირტებში ფეთქავს და მღერის იგიც „ლილეოს“ ხმაზე მის ჩრდილში შეყრილ გლეხებთან ერთად.

არ წაიქცევა მაგარი მუხა, ისევ გაუძლებს გრიგალს და ელვას, დაუბერებელს მატებს მხნეობას ომახიანი ენგურის ღელეაც.

და თუ ოდესმე მას მიეკარა ნაჯახი, წალი და ბირდაბირი, — ხალხის სამსახურს შეეწირება ხე ვაკაცური და პირდაბირი.

ილია სოფხარიძე



# საუბარი

## კონსტიტუცია

ჩვენი კალენდარიზი არის დღეები, რომლებსაც საბჭოთა ხალხი ყოველწლიურად უდიდესი სიხარულითა და ზეინით აღნიშნავს. ასეთი დღეების რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე 5 დეკემბერი — სტალინური კონსტიტუციის დღე.

კონსტიტუცია უცხო სიტყვაა და ნიშნავს ძირითად კანონს. სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ამ დიად კანონში, ჩაწერილია ყველაფერი ის, რაც მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის მშრომლებმა ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

თოთხმეტი წლის წინათ მოსკოვში, კრემლში შედგა საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა. 1936 წლის 25 ნოემბერს ამ ყრილობაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხანაგმა სტალინმა.

იმვე წლის 5 დეკემბერს ყრილობამ ერთხელად დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია. ყრილობის დადგენილებით 5 დეკემბერი საყოველთაო სახალხო დღესასწაულად იქნა გამოცხადებული.

ჩვენი ქვეყნის მშრომლებმა ახალ კონსტიტუციას მისი შემოქმედის — დიდი სტალინის სახელი უწოდეს. ამით მადლიერება საბჭოთა ხალხმა აღნიშნა ამხანაგი სტალინის ისტორიული აღმსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე. დიდი სტალინი საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. ჩვენი ბედნიერება და სააშური ცხოვრების შემქმნელია.

საბჭოთა ადამიანები მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანები არიან. ისინი ცხოვრობენ და მოღვაწეობენ სტალინური კონსტიტუციის შიით გამთბარ ქვეყანაში. თვითველი საბჭოთა მოქალაქე დიდი უფლებებით არის აღჭურვილი. მას აქვს შრომის უფლება, განათლების უფლება, დასვენების უფლება, ხოლო მოხუცებულების ან შრომის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვე-

ვაში — მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. ჩვენი მშრომელები არიან ქვეყნის ბატონ-პატრონი, ისინი შრომობენ და ჰქმნიან სიმდიდრეს, რომელსაც თვითონვე ფლობენ, მათ თავიანთ ნაშრომს არაფერ არ ართმევენ, თვითონვე იხმარენ მას. მშრომელები თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით მართავენ სახელმწიფოს. ჩვენი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების — როგორც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, ისე უმაღლესი საბჭოების არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირია; არჩევნები ტარდება ფართული კენჭისყრის საფუძველზე. თითოეულ საბჭოთა ადამიანს, თუ იგი ჰკუდიდან შეშლილი ან სასამართლოს მიერ მსჯავრდებული არ არის, შეუძლია საბჭოებში დეპუტატებად სხვაც აირჩიოს და თვითონაც იქნას არჩეული. დეპუტატებად ხალხი ირჩევს მოწინავე ადამიანებს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილებს, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი უაღრესად ერთგულ ადამიანებს.

მაგრამ ცხოვრება ყოველთვის როდი იყო კარგი და სააშური, მშრომელებს ყოველთვის როდი ჰქონდათ ასეთი უფლებები. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ჩვენი ქვეყნის მშრომელები აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ. მაშინ ყველა სიმდიდრე — მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, ტრანსპორტი, მფაროები, ტყეები და სხვ. — მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელში იყო. მუშები და გლეხები, რომლებიც ამ სიმდიდრეს მოკლებულნი იყვნენ, მონურ პირობებში იმყოფებოდნენ. მეფის მთავრობა მუქთახორებს — მემამულეებსა და კაპიტალისტებს იცავდა. მაშინ სახელმწიფო მმართველობაში მშრომელთა მონაწილეობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სწავლა-განათლებაზე მშრომელთა შვილებს

მხოლოდ ოცნება თუ შექმლოთ, ისინი უსწავლანი რჩებიან.

1917 წლის ოქტომბერში ჩვენი ქვეყნის მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა დაამხეს მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ეს უდიდესი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მოიპოვეს ბოლშევიკური პარტიის, დიდი ლენინისა და დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხელისუფლებამ, მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ მოსპო მემამულეთა კლასი და 150 მილიონი ჰექტარი მიწა გადასცა გლეხებს. საბჭოთა ხელისუფლებამ კაპიტალისტებს ჩამართვა ბანკები, ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზები და სხვა საწარმოო საშუალებები და იარაღები და ისინი საერთო-სახალხო საკუთრებად გამოაცხადა.

საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლებისა და დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებები მოიპოვა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის ბრწყინვალე განხორციელებამ უზრუნველყო ჩვენი ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება. საბჭოთა კავშირი გადაიქცა ყველაზე მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ქვეყნად, მსოფლიოში ყველაზე მტკიცე სახელმწიფოდ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყველა ეს მსოფლიო-ისტორიული მიღწევების გამარჯვება, რაც მათ მოიპოვეს ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია სტალინურ კონსტიტუციაში. საბჭოთა ადამიანები სწავრიან ამაყობენ სტალინური კონსტიტუციით. ასეთი კონსტიტუცია კაცობრიობამ სხვა არ იცოდა და არ იცის. იგი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუციაა, თითოეული მისი მუხლი ხალხისადმი. საბჭოთა ადამიანისადმი სტალინური ბრწყინვალე გამობატულეებაა.

სტალინური კონსტიტუცია ამასთანავე ყველა საბჭოთა მოქალაქეს აცისრებს სეროზულ მოვალეობებს: დაიცვან კანონები, შრომის დისციპლინა, პატროსხად მოეპყრან საზოგადოებრივ მოვალეობებს. პატრივი სცენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. გაუფრთხილდნენ სოციალისტურ საკუთრებას, დაიცვან სოციალისტური საკუთრება.

კონსტიტუციები აქვთ ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც. ამ კონსტიტუციებში ბევრია ლამაზი ფრაზები მოქალაქეთა „უფლებების“ შესახებ, მაგრამ ეს „უფლებები“ მხოლოდ ქალღმრთე არსებობენ. ხალხთა რათანასწორუფლებიანობაზე შეიძლება ლაპარაკი ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როცა ერთი მუქი კაპიტალისტები ფლობენ მთელ სამდიდრეს, ხოლო მილიონობით მშრომელს ლუკმა პური არ გააჩნია და შიმშილით კვდება! ბურჟუაზიული კონსტიტუცია კაპიტალისტების ინტერესებს იცავს, იგი ბურჟუაზიის ბატონობის იარაღია, მშრომელთა ექსპლოატაციის სულიერი და ფიზიკური დამონების იარაღია.

საბჭოთა ადამიანებს მხტრვალედ უყვართ ჩვენი სოციალისტური სამშობლო, თვალისჩინივით უფრთხილდებიან სოციალიზმის ყველა მონაპოვარს. სტალინური კონსტიტუცია აღაფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ჩვენი ქვეყნის დასაცავად. სტალინური კონსტიტუციის დიდი დროშის ქვეშ მტკიცედ დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა გაანადგურა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები და კაცობრიობა იხსნა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან.

სტალინური კონსტიტუციის სიდიადე ახალი ძალით გამოვლინდა ომისშემდგომი მშველდობიანი მშენებლობის წლებში. სტალინური კონსტიტუციით შთაგონებულმა საბჭოთა ხალხმა უმოკლეს დროში მოიპოვა ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები, წარმატებით შეასრულა მეთხებ სტალინური ხეთუფლების ყველა დავალება და ახლა გეგანტური ნაბიჯებით მიდის წინ — კომუნისზმისაკენ.



გ. სონელიძე



# კორეელ ბიჭუნას

4 ოქტომბერს ჩხუნჩხონში ლისინმანელებმა ხელე-  
ბი მოჰკვეთეს 9 წლის ბიჭუნას იმისთვის, რომ ის წი-  
ნათ რესპუბლიკის აღმით მიესალმა სახალხო არმიას.

ერთი კვირა გაშმაგებით  
დაგეძებდნენ მკვლელები,  
გიპოვეს და მოგესივნენ,  
სწრაფ მოგკვეთეს ხელები.  
სად ხარ, ძმაო კორეელო,  
ფიქრით თავზე გველები.

იქნებ ბორგავ სარეცელზე,  
ტყვილები გაწუხებებს,  
თავს გადგია ღეღაშენი,  
მაგრამ ტანჯვას არ უმხელ.  
ძილი არ მოგკარებია  
იქნებ, ძმაო, არც წუხელ.

იქნებ ახლაც თვალწინ გიდგას  
ჯალათები, მკვლელები.  
ტუჩებს იკვნეტ ბრაზისაგან,  
მოგდის ცხარე ცრემლები.  
სად ხარ, ძმაო ცხრა წლის ბიჭო,  
ფიქრით თავზე გველები.

შენ ხომ ის ხარ, კიმი ირ სენის  
ჯარს რომ შეხედი აღამით,  
ფერად-ფერად ყვავილებით  
და გულწრფელი სალამით.  
ვიგონებ და სიბრალულით  
თრთის ქალღალღზე კალამი.

ნეტავ ახლა შენთან ვიყო,  
შეგიხვევდი კრილობას,  
შენთან ერთად შევაქებდი  
შენი ხალხის გამირობას;  
შევაქებდი საერთო მტრის  
შესამუსრად აშლილებს —  
მოხალისე ჩინელების  
რაზმებს—მახვილ აწვედილებს.  
გადამთიელთ რომ უტევენ  
შენი ძმების მხარდამხარ,  
ფიქრით მუდამ თავს გველები,  
ცხრა წლის ბიჭო, სადა ხარ?

სადაც იყო, მინდა მოგწოდეს  
პიონერის სალამი.  
მჯერა მალე კორეელ ხალხს  
მოშორდება ვარამი,  
ჩხუნჩხონშიაც იფურიალებს  
გამარჯვების აღამი.

თუ კვლავ აღამს ვერ აღმართავ  
მტრისგან მკლავებწაქრილი,  
გამარჯვებულთ ხომ შეხედებდი,  
ძმაო, ვაშას ძახილით.

**ლიანა ბარჭულაძე.**

ქ. თბილისის 23-ე ქალთა საშუალო სკოლის მოსწავლე





— აბა, მზად ხარ? — შეეკითხა ალექოს მამა. — ნუ ვიგვიანებთ. თუ დროზე არ მივვლით, ქუჩაში დაგვეკირდება ლოდინი... კვირა დღეა, უამრავი ხალხი იქნება!

ალექომ წინის კითხვას თავი გაანება და სასწრაფოდ ჩაცმა დაიწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ მათი მანქანა გასრიალდა მოსკოვის მოკრიალებულ ქუჩებში.

აი, ჩაუქროლეს ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას.

— ხედავ, შოთა არუსთაველის ქანდაკებას? — მთუთია მამამ ალექოს.

ძლივს მოჰკრა თვალი ალექომ შოთას ქულს.

მანქანამ შეუხვია და პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის წინ გაჩერდა. მამა-შვილი ჩამოხტნენ.

„რა დიდი შენობა ყოფილა! ნუთუ სულ ნაკვია!“ — გაიფიქრა ალექომ, როდესაც შენობაში შევიდნენ.

აგერ მამა-შვილი შეჩერდა უზარმაზარი, მთელი კედლის სიგრძით და სიმაღლით ჩამოფენილი ხალის წინ.

როგორ წარმოადგენდა ალექო ამისთანა ხალს, თავისი თვალით რომ არ ენახა!

ამ უდიდესი ხალის გულში ჩაქსოვილია ბელადის სურათი და ირგვლივ არშიაში სხვადასხვა სურათები რეკოლუციონერის წარსულიდან და ბელადის ცხოვრებიდან.

— ათი მეტრი სიგრძე და შვიდი სიღანე! — აღტაცებით იმეორებდა ალექო და თავის უბის წიგნაკში ჩაიხიზნა.

— შენ ისა თქვი, — უთხრა მამამ, — თუ რამდენმა ხელმა იმუშავა და რამდენი ნასკევი გამოჰკრა! ეს სულ ქალების მიერ არის გაკეთებული, აზერბაიჯანელი ქალების!

ხელმარჯენივ პირველ დარბაზში შევიდნენ.

ალექომ არ იცოდა რისთვის ეცქირა! ყოველ კუთხეში ათასი რამ ელგა.

აგერ მაგიდაზე დალაგებულია სპილოს ძეგლისა და არყის ხის ქერქისაგან გაკეთ-

ბული საწერი მაგიდის მოწყობილობა: სამეწიკები, ქაღალდის საჭურელი დანა, პრესი, კალმისტარი, მანძლები, ერთი მეორეზე ლამაზი და სათუთი!

იქით ჩანს გამჭვირვალე ბროლის და ქათა ფიფურის ვაზები ისეთი დიდი, რომ შიგ ადამიანი მოთავსდება!

თითქმის მთელი კედელი უჭირავს უკრაინელი მხატვრის მ. ხმელკის სურათს: „გამარჯვებული სამშობლოს ზეიმი“. ლენინის მაგზოლუმის წინ სამხედრო პარადია. სტალინი თანამებრძოლთა შორის დგას და ღიმილით უცქერს გამარჯვებულ საბჭოთა არმიას, წითელ მოედანზე მოდიან გამარჯვებულნი და ძირს ყრიან გერმანელი ფაშისტების დროშებს.

— ალექო! აი, ახლა ამას მივაქციე ყურადღება, სულ ხომ მანდ არ იღებენ? — ეუბნება მამა, — როგორ მოგწონს?

ალექო მიუახლოვდა და დააქცერდა.

სტალინის პორტრეტი, მხოლოდ ფერწყობით კი არა, არამედ პატარა-პატარა ხის კუბიკებითაა შესრულებული.

— ამას მოზაიკა ეწოდება, — აუხსნა მამამ.

ბავშვი კითხულობს წარწერას: „სურათი შესრულებულია ვოლკის საბავშვო სახლის ბავშვების მიერ...“

ალექოს გულში რაღაც უკმაყოფილება იზრდება, რომ თვითონ არ არის მონაწილე ასეთი საჩუქრებისა, რომ მისი ნახელავი არაფერია ამ დარბაზში...

როგორ გაუკვირდა ალექოს, დიდი შუშისანი კარადა სათამაშოებით საცხე რომ დაინახა! თეთრი, ხუშუქბეწვიანი ხავერდის ქაღლები, ლამაზი ფისოები, გრძელკისრიანი ყვითელი ყირაფი, ბაჯჯვლიანი დათუნები!

„ეს რა გამოსაგზავნია!“ — გაიფიქრა ალექომ.

— ყოველი მრეწველობა თავის ნახელავს, თავის ნაწარმს, თავის ნამუშევარს უგზავნიდა ბელადს, — თითქმის ალექოს ნაფიქრას საბასუხოდ უთხრა მამამ.



ალეკო უკვე შემდეგ სურათს ათვლიერებს. ესეც სტალინის პორტრეტია შესრულებული გამხმარ ფოთლებისაგან. რა სათუთი და საუცხოო ნამუშევარია! ბავშვმა ამოიკითხა, რომ პორტრეტი 2.670 სხვადასხვა ჯიშის გამხმარი ფოთლისაგან იყო გაკეთებული.


ეს სურათი ბელორუსიაში არის შესრულებული.

ალეკო ცდილობდა ყველაფერი ენახა. არაფერი გამოჰპაროდა მის ყურადღებას. მაგრამ ძნელი იყო ყველაფრის გათვალისწინება. ხალხით სარე დარბაზიში, ხან ვინ ჩამოეფარებოდა წინ და ხან ვინ! ალეკო ლულავდა.

— საქართველომ რა გამოუგზავნა? — დაეტყო ალექსის მოუთმენლობა.

— მოიცა, იქაც მივალთ! — დაამშვიდა მამამ.

— აი, პატარავ! ეს, ალბათ, მოგეწონება, — მოესმა ალექსის მუხუხების თანამშრომლის ხმა. და მიუთითა მოიჭრულ ხომალდზე, რომლის სავეზე მტრედის ზის. — ეს სომხეთის საჩუქარია. მას „მშვიდობის ხომალდი“ ეწოდება. ხომალდის აფრა ერთი მთლიანი, განუწყვეტელი ვერცხლის ძაფიდან არის გაკეთებული. ოქრომჭედების ნამუშევარია. ძველი ისტატების.



— რა მშვენიერია! — მოეწონა ალექსის და ყოველი მხრიდან შეათვალიერა მუშაუხარამხარ კოლოფში ჩადგმული ძვირფასი ხომალდი, რომელიც ელექტრონის შუქზე ერთითად ელვარებდა.

— ესეც შენი საქართველო, — მხიარულად უთხრა მამამ, როდესაც ახალ დარბაზში შედგეს ფეხი.

დარბაზის ერთ კუთხეში მოთავსებულია ქართული ახლის საჩუქრები. კედელზე აბრეშუმის ძაფით ნაქსოვი მშვენიერი ხალიჩკიდია. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ხალიჩკი მოქსოვილია და არა მხატვრის მიერ დახატული! ხალზე გამოხატულია ახალგაზრდა სტალინი, უჩა ჯაფარიძის სურათიდან გადმოღებული, — მხარზე პალტო გადადებული, ყელზე უჯრებიანი ყელსახვევი. ხელში წიგნი.

ბავშვმა აღტაცებით შეხედა ხალს. ამოიკითხა მისზე წარწერილი პოეტ ი. გრიშაშვილის სიტყვები:

„ამ ხალიჩით გამოვხატეთ ჩვენი სიხარული.

შეგ ძაფებად გული ჩავდეთ, ნასყვად სიყვარული“.

ალეკომ რამდენჯერმე გაიმეორა ეს ტაეპი და ჩაიწერა წიგნაგში.

რა არ ნახა კიდევ ალექსიმ! სხვადასხვა ეროვნების ნაციონალური ტანისამოსი, ქსოვილები, ხალიჩები, ჭურჭელი, ფეხსაცმელები, ტყავულის ნაწარმი. გერმანიიდან გამოგზავნილი საქსონიის ფაიფურის ჩანდაკებანი. ჩინური ფაიფურის ჩაიდნები და ფინჯნები, ლარნაკები და ლანგრები...

— აი, ალეკო, დახედე ამ წიგნს! ხედავ ფურცლებზე მელნით ჩანაწერებს? ეს ფლეროვსკის წიგნია: „მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთში“. ამ წიგნით თურმე კარლ მარქსი სწავლობდა რუსულ ენას. — უთხრა მამამ ალექსს.

ალეკომ თითქოს მთელი ქვეყანა შემოიარა. ის ხედავდა უამრავი ხელის ნახევარს. თითქოს კიბეც ხედავდა ამ ხელებს, ბელადს რომ სიყვარულით და ერთილი გულით უმზადებდნენ საჩუქრებს.

გაიკიჟანი



ირაკლი აბაშიძე

ვ მ მ ა \*

ნახ. ს. შალვაშვილისა

### 3. ა რ ა ბ ო ბ ა

#### მურვან-ყრუ



ემოიარა ქვეყანა  
ამხედრებულმა არაბმა,  
იქეთ სირია დაიპყრო,  
აქეთ სპარსეთი ალაგმა.  
სახლვარი დაუღწევი  
ალარ გადარჩა აღარსად,  
ხმალამართული არაბი  
მოადგა ქართლის საზღვარსაც.  
სამშობლოს ასე ჭირნახულს  
ვის დაუთმობდა ქართველი,  
არ ნებდაბოდნენ არაბებს  
ქველთა არწივთა მართვენი.  
მაშინ განრისხდა ხალიფა,  
სიკვილის ცელი ასწია  
და საქართველოს მიწა-წყალს  
მურვან-ყრუ შემოასია.  
ბევრჯერ ხედომია ქართველსა  
ცრემლიც და ბედის მღურვანიც,  
რისხევა კი მსგავსი არ ახსოვს,  
როგორც შემოსვლა მურვანის.  
კლდე-ღრეში ბავშვსაც დასდევდა  
არაბი ხმალშემართული,  
დიდინით შეწყდა ქართველთა  
ტბილი სიმღერა ქართული.

\*\*\*

თუმც როგორღაც ქალაქ თბილისი  
ყრუ მურვანის რისხვა ასცდა,  
მაგრამ გატყდა სარკინოზთან  
ხმალი ქართველ ჯარისკაცთა.  
ამოთავდა. ვის შეეძლო

\*) გაგრძელება. იხ. „პიონირი“ № 11.

მტერთან ომის გაგრძელება!  
თბილისის გმირი ქართველები  
ალარ დარჩა დამცველებად.  
ამოთავდა. გმირთა სისხლით  
გაიპოვნენ ყამირები...  
თბილისის დასხდნენ ბატონებად  
არაბეთის ამირები.

#### თბილისს დამპყვივრდა არაბი




ართველის ცრემლით შეივსო  
ქართლში მტკვარი და არაგვი;  
კალიასავით მოედო  
მთელ არემარეს არაბი.  
ხმალი დაესო ქართლის გულს —  
ასეულ წლებით განგმირა;  
თბილისის დამკვიდრდა არაბი,  
ამირას მოჰყვა ამირა.

\*\*\*


შემდეგ, როცა ქართლის კარი  
მავრად შეჭკრეს, ჩარაგვეს,  
ამირები ნელა-ნელა  
გადაუდგნენ არაბეთს.  
თვითონ სჯიდნენ ქვეყნის საქმეს  
ღოვლათს, შრომას, წამებას,  
არ უსმენდნენ ამირები  
ხალიფების ბრძანებას.  
ქართლს რა სეტყვამ არ უსეტყვა,  
რა ქარმა არ უქარა,  
ახლა კიდევ თბილისს მოსწვდა  
ხალიფების მუჭარა.  
ხალიფები რისხვით სძრავდნენ  
შორს ეფვრატის ნაპირებს,  
ხალიფები მორჩილებას  
უბრძანებდნენ ამირებს.

აქეთ-იქით მიმოჭროდნენ  
დესპანები ჩქარ-ჩქარი...  
ბოლოს დასძრა არაბეთმა  
ბულა-თურქის ლაშქარი.

### ბულა-თურქი


 რაბეთის ტყის ნადირი,  
აფთრის გული, აფთრის ქურქი  
ახლა თბილისს შემოეწყყო  
ცოფიანი ბულა-თურქი.  
შემოეწყო და ქალაქის  
ციხეცა და მშვიდი დაბაც  
მსხვერპლად მისცა თავის მხეცებს—  
ზირაქსა და აბულ-ყაბასს.  
ამირამაც ციხის კარი  
მიიხურა, გადირაზა,  
ქართლის გული ბრძოლის ველად  
დარჩა თურქს და ამირასა.  
მაშ, რა მხეცი იყო ბულა,  
რა აფთარი, რისი ბულა,  
მან თბილისის კარიბჭენი  
ცეცხლმტყორცნებით გადაჰბუგა.  
შეამტერია ციხის კარი,  
არ დასტოვა ბუდეც მერცხლის,  
ცოფიანმა სარკინოზმა  
წაუკიდა ქალაქს ცეცხლი.  
ისევე სისხლით გაიპოხა  
მტკვრისნაპირად მიწის ზურგი,  
კაცის სისხლით გაილეშა  
თავგასული ბულა-თურქი.  
ამირასაც თავი წასჭირა,  
ვინც განდგომა დააპირა,  
მაგრამ თბილისს რა ეშველა,  
ტახტზე დასვა სხვა ამირა.  
შაეი მეცხრე საუკუნის  
ჩაქჩრა სხივი ტკბილი მზისა,  
დაილეწა, გადიბუგა  
სიმაგრენი თბილისისა.

### ამირას დარჩა მხოლოდ თბილისი


 თქოს დასცხრა მრისხანება  
არაბეთის ხალიფათა,  
ათითქოს თბილისს ჩამოეხსნენ  
და მშვიდობა დაიბადა;  
რაც ნადირმა ბულა-თურქმა  
მოიყარა გულის ჯავრი,  
თბილისს აღარ ეცემოდა  
ხალიფების მტრული ჯარი.  
მაგრამ ვანა ჩამოშორდნენ  
თბილისს ყველა ნადირები?  
ძველ ამირებს ტახტზე სცვიდნენ  
კვლავ ახალი ამირები.

მათ განდგომას შეეგუენ  
არაბეთის მპყრობელებიც,  
ამირები დარჩნენ ცალკე,  
როგორც ქართლის მფლობელები.  
შემდეგ ქართლი წამომრავლდა,  
კვლავ ნათელი გაჩნდა დილის,  
გაიბრძოლა... და ამირა  
შერჩა ბოლოს მარტო თბილისს.

### როცა თბილისს მტერი ადგა

 როცა თბილისს მტერი ადგა,  
როცა ჯართა იყო წყევტა,  
როცა მტრის წინ დაცემული  
გმირს უხმობდა ძველი მცხეთა;  
როცა თბილისს გამუდმებით  
თავს ესხმოდა წვიმა ისრის,  
საქართველოს მეფის ტახტად  
იდგა ძველი ქუთაისი.  
მრავალ, მრავალ შავ-ბნელ დღეში  
ჩვენი ქვეყნის სასახელოდ —  
აერთებდა, ახორციბდა  
მტრისგან დაქრილ საქართველოს.  
ქუთაისი, ძველი დედა,  
ძველი მკლავიც, მკვრივც, ტვირც,  
აქ დაიწყო ძლიერება  
მეფე ბაგრატ ბაგრატიუნის.

### ბაგრატ მესამე

 ადასწედა ბაგრატ მესამე  
ქართლს, ვერაუ მტრისგან  
დაძლეულს.  
მან მზის ნათელი მოჰქინა  
ქართლის მეათე ასწლეულს.  
მან განაერთა მამული  
და მისი ღვაწლიც დაფასდა,  
ის უფლისციხეს განმტკიცდა  
მეფედ ქართლის და აფხაზთა.  
სული მოითქვეს ქართველთა,  
ვინც არაბთაგან ეწამნენ,  
ქართულ მიწების შემკრებად  
გამოჩნდა ბაგრატ მესამე.  
თბილისის დახსნაც ეცადა,  
მაგრამ ვერ იხსნა თბილისი,  
ანდერძი მისცა საბრძოლო  
თავის შვილსა და შვილიშვილს.

\*\*\*

მაგრამ ჰქვიამა ბაგრატმა  
როგორც დახუჭა თვალები,  
საქვეყნო საქმის დანგრეველ  
აღზევდნენ ფეოდალები.  
არ დაჰყენენ თანამესაგრედ  
ბაგრატის შვილს და შვილიშვილს,



არ შეგებრდოლენ ამირას  
არ შეგრიადნენ თბილისში.  
ჰველა თავ-თავის სამთავროს  
ცალკე მართავდა მფლობელი,  
ლხინი იყო და ღრეობა  
იმათთვის წუთისოფელი.  
ცალკე ქიშობას არჩევდნენ,  
ცალკე ლაშქარის ყოლასა  
და მტრის მაგიერ გამცემნი  
მეფეს უწყებდნენ ბრძოლასა.  
ვერ შეძლო მათი დათრგუნვა  
ბაგრატის შვილთა ძალამა,  
ვერ იხეიმა თბილისში  
ბაგრატ მეოთხის ალამაც.



#### 4. თ უ რ ქ ი ბ ა

### თურქ-სელჩუკი დამპყრობელი

**თ**ურქების მთელი საუწყუნე  
არ მოხერხდა დამოყვრება,  
რად ქიშობდნენ! საქართველოს  
კვლე ელოდა აოხრება.  
კვლავ ელოდათ ცხარე ცრემლი  
ძაბით მოსილ ქართლის დედებს:  
მოსწვდნენ თურქი სელჩუკები  
საქართველოს მწვანე ჭედებს.  
ღაღა ზარი, რაც არ მდგარა  
ბულა თურქის რისხვის აქეთ,  
სელჩუკების აღფ-ასლანი  
შეესია ქართლს და არგვეთს.  
თითქოს ბუღას რისხვა იდგა,  
თითქოს სქექდა მურგან-ყრუს ხმა,  
იფა ზარი... და თუმც მტერი  
გაბრუნა ზამთრის სუსხმა,  
მაინც უკან ლაშქარივით  
შეესია გზაზე თბილისს  
და ათასგან ნახმლევ ქალაქს  
დაუბნელა სხივი დილის.  
აოხრა, გამოჰკლიჯა  
ქართლის გული არაბ ბატონს  
და თბილისი დაპყრობილი  
ჩააბარა განძელ ფადლოს.  
შემდეგ დიდხანს ქართველები  
თავს ესხმოდნენ ვერაგ მძაოკელებს,  
მაგრამ, ფუჭად, ქართლის გული  
თურქებს ველარ გამოსტაცეს.

### ჩაღვა ქვეყნის სათავეში დავით აღმაშენებელი

**ა**ქართველოს მატანიის  
დასტურ დამამშენებელი,  
ჩაღვა ქვეყნის სათავეში  
დავით აღმაშენებელი.

ჩააბრუნა ძველი ძალა  
ქართველ გმირის მებრძოლ სულში,  
მან აღანთო ჩირადნანი  
საქართველოს ბნელ წარსულში.  
მან შეაშოთ მწარე ცრემლი  
ძაბით მოსილ ქართველ ქალებს,  
ხერხემალი გაღუმსხვია  
აღვირახსნილ ფეოდალებს.  
თავგასული თავადები  
დააჩოქა ტახტის ფეხთან,  
გზა გაუხსნა მდაბიოებს,  
მოისმინა აზრიც ვლუხთა.  
დალაშქრა და მორჩილება  
კვლავ უბრძანა გამდგარ კახეთს,  
სულტანს ხარკი შეუწყვიტა  
ხელშეფურად მძლელ და მკვახელ.  
ხელთ აიღო ბრძოლის დროშა,  
მტერს დაჰმართა შიშის ძრწოლა  
და დაიწყო ვეჟაკეურად  
თბილისისთვის მკაცრი ბრძოლა.

### ბრძოლა თბილისისათვის

**ბ**ამოუჭროლა პირველად  
თბილისის ირგვლივ ქალაქებს:  
რუსთავს, დმანისს და სამშვილდეს.  
თურქთა ლაშქარის ბანაკებს.  
ჩამოუჭროლა, გაბრწყინდა  
დიდი დავითის ჩაჩქანი,  
რუსთავს, დმანისს და სამშვილდეს  
მოსპო თურქების ლაშქარი.  
იხსნა ქართული ციხენი  
ასწლობით დახსნის მთხოვნელნი,  
კლდისებრ ჩაუდგნენ ვალაენებს  
ქართველი მეციხოვნენი.  
გმირებს ქართული ალამი  
დიდებით შეამოსვინა

და მერე თბილისს მოადგა  
სარდალი ძლევაშისილად.

\* \* \*

ყელში მისწვდა ბრაზი სულტანს,  
ვის წინაშეც მიწა ძრწოდა,  
საქართველოს საზღვრებისკენ  
მთელ სათურქოს მოუწოდა.  
სელჩუკების ჯარი შეკრბა  
აღმოსავლეთ-დასავლეთსა  
და სულტანი ცნენს მოახტა  
დავით მეფის დასაუწვად.  
დავით მეფეც მებრძოლურად  
შემოახტა თავის ჰუნეს,  
საძირკველი განუმტკიცა  
მეთორმეტე საუკუნეს.  
სულტანის სპა უთვალავი  
თბილისს ახლო დიდგორს დადგა,  
ძილს უჩვევი დარაჯები  
შემოერთყნენ ბანაკს ათვან.  
მაგრამ განდა ქართლის ჯარი,  
როგორც მთიდან ჩქარი წყალი  
და სულტანის ბაიოჯღზე  
დატრიალდა ქარიშხალი.  
დავით მეფე სულტანის სპას  
თავს დაატყდა ქარზე სწრაფად  
და ურიცხვი თურქის ჯარი  
აოტა და ამოკაფთა.  
მტერს მისდია დამარცხებულს,  
დაატყნა რისხვის ზარი,  
შეტრიალდა თბილისისკენ,  
შემოაწყო ქალაქს ჯარი.  
ციხის შიგნით სელჩუკები  
ძალს იკრებდნენ უკანასკნელს,  
მაგრამ მათი სიმაგრენი  
დავით მეფის ფეხქვეშ დასკნენ.  
და თბილისში დავით მეფემ  
ზეიმურად შედგა ფეხი,  
საქართველოს ცხოვრებაში  
დადგა წელი გარდამტეხი.  
გადაურჩა ქართლის გული  
არაბ-თურქთა გვარ-ტომობას,  
გადაურჩა ვერაგ მტრების  
ითხასი წლის ბატონობას.

### თბილისის მხსნელი დავითი

**ს**ებრძნე დაუღო საძირკველად.  
ხმალი მოარტყა გაღვანად,  
მისგან გადიქვა თბილისი  
აღმოსავლეთის ფალავნად.  
მიტომ უწოდებს ქართველი  
წარსულის დამამშვენებელს  
დავითს — თბილისის გამომხსნელს,  
დავითს — დიდ აღმაშენებელს.



### 5. ხვარაზმელები ზეიმოვდა ქართლის გული

**ქ**ართლს დაუღდა მშვიდი ხნა,  
ქართლი ახლად შენდებოდა,  
საქართველოს დედაქალაქს  
დაბი უღდა, მშვენდებოდა.  
მისი ილიდი ძლიერება  
თითქოს აღსდგა სამარიდან,  
დრო ბრწყინავდა დიდებულთ  
დავითით და თამარითა.  
ყველა კარი ღიად იყო,  
სადაც ქალაქს ჰქონდა კარი,  
აღმოსავლეთ-დასავლეთით  
მოიღვროდა სოფდაგარი.  
მოდიოდა ქარავანი  
თბილისის გზას დაჩვეული,  
საცე იყო საქულბაქო  
ხალიჩით და ფარჩეულით.  
საცე იყო სახოვავით,  
წამლებით და აჭიმებით,  
ისანს იდგნენ დატვირთულნი  
არაბეთის აქლემები.  
მაღალ კედლებს შესევოდა  
ჩქით ხურო, აქ დურგალი,  
ზეიმობდა ქართლის გული,  
ნაოხარი, ნათურქალი.

### მრისხანება ხვარაზმული

**მ**აგრამ მხოლოდ ას წელიწადს  
ქართლს ეღიბა შესვენება,  
კვლავ გამოჩნდნენ ნადირები  
ჩვენი სისხლის შემსმელებად.

კვლავ მოადგა საზღვრებს მტერი,  
შეაბჯრული, დარაზმული,  
ქართლმა ახლა გამოსცაღა  
მრისხანება ხვარაზმული.  
საღღაც ერთ-ღორს წვეკიდა  
ორი მხეცი სისხლისმსმელი,  
და მონღოლმა სისხლისმსმელმა  
დაამარცხა ხვარაზმული.  
დაამარცხა, დროც არ მისცა  
გონზე მოსვლის, დანანების  
და მონღოლის ჩინგის-ხანი  
დაედევნა ჯალალ-ედინს.  
გამოიქცა ხვარაზმელი,  
გადმოსთელა დევიზი, შაჰი,  
და თბილისის კარს მოადგა  
მარცხ-ნაჰში ხვარაზმ-შაჰი.  
ქართლი დახვდა ხვარაზმელებს  
როგორც ბრბოს და როგორც ძმეორებს  
და მონღოლთან საბრძოლველად  
შაჰს არ გაჰყვა მოკეფიორედ.  
გადირია ხვარაზმ-შაჰი,  
მრისხანე და ქეაზე გულქვა  
და სასჯელად გადასწყვიტა  
საქართველოს გადაბუგვა.  
ხმა მოუსმა საქართველოს  
ისევ შავი სამარისა...  
აღორ ჰყავდა რაინდები  
დავითვის და თამარისა.

**ციხე უიზნიდან გატყდება**



აჰმა თბილისს შეუტია.  
შემოეწყვიტ ციხე-ქალაქს,  
მაგრამ ბრძოლით მთელ  
სამთარში  
ვერა ავნო მტეციე კალას.  
როცა ციხე ვერ შელწვა,  
იერ გასტეხა ქართველობა,  
შაჰმა ქალაქს შეუღსია  
ლალატი და გამციემლობა.

(დასასრული იქნება)

კიდევ მთხდა გაზაფხულზე  
გამციემობა საზღვარი:  
თბილისელმა სპარსელებმა  
შაჰს ვაუღეს ციხის კარი,  
და ქალაქში ხვარაზმელი  
შესრიალდნენ ველურადა,  
დიდს და მცირეს დასახრჩობად  
ჩაეგრიხნენ გველურადა.  
იყო ისე აღხვევება  
გახელებულ სისხლის სმათა:  
„რომელ ჩვილთა იტაცებინ  
ძუძუთაგან დედისათა“.  
და დედის წინ ანარცებდნენ  
ხელაშეკრულ ძუძუწოროვებს,  
„შეკრბიან და დახოცილიან“  
მთელ თბილისს ზედურულ  
მცხოვრებთ.

ექვსასი წლის სიონს მოხსნა  
ქვის გუმბათი ხანდაზმული  
და სამხერად შაჰმა დაღდა  
ზედ კარაიე ხვარაზმული.  
დილით და ღამით ქალაქს წვადა  
არჩახული ცეცხლის ალი,  
იჯდა მაღლა და დღეობას  
ზეიმობდა შაჰის თვალთ.

\*\*\*

ხუთ წელს ცრემლით სველდებოდნენ  
ქართლის დედის დალალები,  
და თბილისი სათარეზოდ  
ხუთ წელს ჰქონდა ჯალალ-ედინს.  
და როდესაც მხეცი შაჰი  
მოჰკლა ვიღაც ქურთის ძაღლმა,  
ქართლს ეგონა: მისი ჩარჩი  
დატრიალდა ისევ წაღმა.  
მაგრამ არა, არ ეღიბრა  
შველა ტანჯვას განუქურნელს,  
კვლავ მოჰქონდა თბილისისთვის  
ცრემლი შავზნელ საუქუნეს.



265

1917

# რაზმი, სადაც არცერთი პიონერი არ ჩამოტრეხება



ჯერ კიდევ მზიანი სექტემბრის პირველი დღეები იყო: მშობლიურ სკოლაში ახლახან დაბრუნებულ ბიჭუნებს წარბაცი ზაფხულის შთაბეჭდილებათა გაზიარება არ დაეძთავრებინათ. შესვენების დროს, ვაკეეთი-ლების შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ პიონერები და ვინ მოსთელის რამდენ საინტერესო ამბავს მოუთხრობდნენ ერთმანეთს! პიონერული ბანაყის დაუვიწყარ დღეებს, მომხიბლავ სოფლებსა და აგარაკებზე გატარებულ ზაფხულს იგონებდნენ, გატაცებით ლაპარაკობდნენ ნანახსა და განცდილზე. მეგობრებს სურდათ რაც კი ახალი, სახარბიელო გაიგეს ერთმანეთისათვის გაეცნოთ, რომ კიდევ უფრო უკეთ ესწავლათ, უკეთ ემუშავებთ პიონერთა ორგანიზაციაში. ბევრი სკოლისათვის საჩუქარიც მოეტანა. ახალი ექსპონატებით შეავსეს ბუნებისმეტყველების კაბინეტი, ცოცხალი კუთხე, თვითნაკეთი ხელსაწყოები გადასაცეს ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებს, პიონერთა ოთახი მრავალფეროვანმა მოდელებმა, ნახატებმა, ფოტოსურათებმა დაამშვენიეს.

გალამაზდა თბილისის ვაკთა მე-9 საშუალო სკოლის ნორჩ ლენინელთა ოთახი. განსაკუთრებით მისი ერთი კუთხე იპყრობდა ყურადღებას. იგი მეოთხე რაზმის პიონერებს ეკუთვნოდა. აქ ყოველვე მეტყველებდა იმაზე, რომ ბიჭუნებმა ბევრი რამ გააკეთეს გასულ სასწავლო წელს, შინაარსიანი და გატარეს ზაფხულის დღეებიც.

ნორჩ ლენინელთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი პერიოდი დადგა. დაიწყო ანგარიშგება-არჩევნები, რგოლებისა და რაზმის საანგარიშო საარჩევნო შეკრებებზე პიონერებმა ბევრი იმსჯელეს განხილვი მუშაობის შესახებ, საინტერესო წინადადებანი წამოაყენეს. მეოთხე რაზმმა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ხუთოსანი მოსწავლე იური ჩაჩხიანი აირჩია. ახალი ძალით გაიშალა მჩქეფარე პიონერული საქმიანობა.

ახალარჩეულმა აქტივმა თავიდანვე სწავლაში წარმატებებისათვის ბრძოლა დაიწყო.

— ჩვენს რაზმში არ უნდა იყოს არცერთი ჩამორჩენილი მოსწავლე! — გადასწყვიტა რაზმის საბჭომ და თავისი გადაწყვეტილების განხორციელებას მაშინვე შეუდგა. კლასის ხელმძღვანელს, მასწავლებლებს, რაზმისა და უფროს პიონერხელმძღვანელს მიმართეს რჩევისათვის. მთავარი დროის სწორად განაწილება! — მიუთითებდნენ ბავშვებს. ამიტომ თვითიული მოსწავლის დღის რეჟიმით დაინტერესდნენ აქტივისტები. სამავალითა დღის რეჟიმი კლასის საორგანიზაციო კუთხეში გამოაკრეს. რგოლებში ფიზიკად აღეგებდნენ თვალყურს რეჟიმის შესრულებას.

მოსწავლის დღიურში ჩაწერილი ყოველი ხუთიანი რაზმში სიკრთო სიხარულს იწვევდა, ორიანი კი — შეშფოთებას. როდესაც მათემატიკის ან გეოგრაფიის მასწავლებელი გურამი ვაჭარაძეს გამოიძახებდა, მთელი კლასი სმენდა იყო გადაქცეული. ის ამ საგნებში ყველაზე მეტად ჩამორჩებოდა. რაზმის დავალებით წარჩინებული პიონერი ვაქტორი მოსიძე ეხმარებოდა მას. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ. ამხანაგებს სურდათ გამოეწეწებინათ გურამი, ძალ-ლონეს არ იზურებდნენ. მათ შორის უქმად არ ჩაუვლია. გურამი ორიანებს აღარ იღებდა. უსაზღვრო მზრუნველობით ადარმოსეს ბიჭუნებმა საბავშვო სახლის აღსაზრდელი ანზორ ფულარიაძეც. მთელი გულით შეიყვარეს ბავშვებმა უღელმამო ამხანაგი. ლეიძლი მებოცივთ ურუდუნდნენ მასზე და ამა როგორ მოითმენდნენ, რომ ანზორს მათემატიკისა და ისტორიის ჩამორჩენა არ გამოეწეწებინათ! ანზორი თამაზ გოგავას და ნიკოლოზ იაკობიძის სმირი სტუდენტი გახდა. ისინი ხალისით ეხმარებოდნენ მეგობარს.

როდესაც პირველი მეოთხედის შედეგებზე შეჯამდნენ, მეოთხე რაზმის პიონერების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მათს რაზმ-

ში არცერთი ჩამორჩენილი არ იყო. იური ჩაჩხიანს, თემურ გიორგობიანს, ჯემალ სუბატაშვილს, თამაზ გოგავას, რევალდ ცერცვაძეს და ნიკოლოზ იაკობიძეს ყველა საგანში ხუთიანები ჰქონდათ. სამიანები მარტო გურამიასა და ანზორის წარმატებებს ფურცლებში ვერა. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულან. მეორე მეოთხედის ბოლოს 29 მოსწავლიდან არცერთს არ უნდა ჰქონდეს სამიანი, 10-ს კი ყველა საგანში ხუთიანების მიღება შეუძლია. ასე აღნიშნეს რაზმის შეჯიბრებაზე. ეს იყო მტკიცე პიონერული სიტყვა, რომლის შესრულებისათვის 29-ვე ბიჭუნა იბრძვის.

თვითთული რგოლის შეკრება, რაზმის შეკრება, წრებში მუშაობა, საინტერესო მასობრივი ღონისძიებანი ხელს უწყობენ ბავშვებს ბეჯით სწავლაში.

მთელი რაზმი ემზადებოდა გ. ქუჩიშვილის წიგნის განხილვისათვის. მოხსენება ჯ. სუბატაშვილმა წაიკითხა, ბონდო ნიბლაძის ხელმძღვანელობით კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი გამოუშვეს, პირველი რგოლის პიონერებმა გ. ქუჩიშვილის ლექსები შეისწავლეს. ლიტერატურის წრემ ი. გრიშაშვილის ლექსების განხილვაც მოაწყო. ახლა პიონერები ლიტერატურულ საღამოს რუსულ ენაზე ამზადებენ.

შესანიშნავი ტრადიცია აქვთ ამ სკოლის ნორჩ მიზურიელებს. მრავალი წლის მანძილზე მრავალფეროვანი მუშაობა სწარმოებენ მათს ნაკვეთზე, უვლიან ხეხილს, გამოჰყავთ ახალი ჯიშები. შემოდგომაზე მათ ნაკვეთი გადაბარებს, ნიადაგში სასუქები შეიტანეს და ზორბლის სხვადასხვა ჯიშები — დოლის პური, დატოტივილი და ლაგოდეხის ხაეროდოვანა დათესეს. მუშაობენ ღობის კულტურის თბილისის ჰაეისათვის შესაგუებლად. უფროსკლასელებს ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევენ მეოთხე რაზმის პიონერები, მათ ხშირად ნახავენ სკოლის ნაკვეთზე სარწყავით, ბარით ან თონით ხელში. ისინი იცავენ ნარგავებს, აღამაზებენ ეზოს.


საინტერესო იყო რაზმის ცხოვრებაში პარალელური კლასის მოსწავლეებთან ჩა-

ტარებული საქმეებზე ტურნირი. მეოთხე რაზმის ნორჩ მოჭადრაკეთა წრე წელს წამოიწყო წევრებით შეიქმნა. სამმა მათგანმა ახლა დაიწყო ჰადრის შესწავლა, ამიტომ დღე-ღამეობა ბიჭუნებზე, ეშინოდით არ დაეკარგათ რაზმეულში დამსახურებულ ჩემპიონის სახელი. ი. ჩაჩხიანმა, რ. გაბელიამ, ბ. ნიბლაძემ კვლავ ასახელეს ამხანაგები. მეოთხე რაზმის პიონერები გამარჯვებულნი გამოვიდნენ. ახლა ისინი სასკოლო ტურნირისათვის ემზადებიან.

რაზმი ხშირად იკრიბება მეგობრული საუბრისათვის. ამასწინათ ასეთი შეკრების დროს უფროსმა პიონერებმძღვანელმა რ. სურგულაძემ პიონერებს უთხრა: „მოდით ბავშვებო, თვითთული თქვენთაგანი მოჰყვეს რა გააკეთა მან კარგი მას შემდეგ, რაც ნორჩი ლენინელის სახელს ატარებს და რაზე ოცნებობს იგი“.

მოკლე, რამდენიმე წინადადებათაგან იყო თვითთული პიონერის ნათქვამი. თითქოს პატარა, უმნიშვნელო ამბებზე ლაპარაკობდნენ ნორჩები, მაგრამ რამდენი კეთილშობილება, სამშობლოსათვის განუსაზღვრელი სიყვარული სჩანდა ამ სიტყვებში! რა მრავალფეროვანი იყო მათი მისწრაფება, რამდენ მტკიცე იყო რწმენა, რომ მშობლიურ ქვეყანაში ფრთებს შეისხამს, სინამდვილე იქცევა მათი ჯანსაღი ოცნებანი.

ი. ალექსიშვილი



ნიკ. იაკობიძე ამეცადინებს სამაგშო სახლის აღსაზრდელს ანზორ ფულაბიანს.

# სამი მამა

კორეული თხზულება




დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა სამი მამა. მობეზრლათ სიღარიბე და გადასწყვეტეს გამდიდრებულყენენ. ამ მიზნით ისინი სიცოცხლის ფესვების საშოვნელად წაეიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, მათ ბედმა გაუღიმათ. იპოვეს სიცოცხლის ფესვები და ათასი კეშის ღირებულების მიაგროვეს. სამთავეს ეყოფოდა ეს სიმდიდრე, მაგრამ ორისათვის ხომ უფრო მეტი იქნებოდა? ასეც ამჯობინეს. ორმა მამამ, თათბირის შემდეგ, მოჰკლეს მესამე მამა და მისი წილი სიცოცხლის ფესვები გაინაწილეს. შინისკენ წამოვიდნენ, გზაში კი თითოეული ცალ-ცალკე ფიქრობდა, თუ როგორ მოემორებია თავიდან მონახევრე, რომ სიცოცხლის ფესვები მხოლოდ მარტო მას დარჩენოდა. სიმდიდრე, მართალია, ორთავეს ეყოფოდა, მაგრამ მონახევრის ჩამოშორებით ერთი ხომ უფრო მდიდარი იქნებოდა! ამ ფიქრებით ვართული მშები ერთ სოფელს მიუახლოვდნენ. ერთმა მამამ უთხრა მეორეს — წადი არაყი იყიდე, მე აქ დაგელოდები, შევნაყრდეთ და გზა განვაგრძოთო. მეორე მამა დათანხმდა და წავიდა სოფელში არაყის საყიდლად. როდესაც არაყით უკან ბრუნდებოდა, მომლოდინე მამამ იფიქრა: „ახლა რომ მე ჩემი მამა მოველა, არაყიც მე

დამარჩება და სიცოცხლის ფესვებიც“. იფიქრა და შეასრულა კიდევც: ესროლა თოფი და მოჰკლა მამა. ახლა სიცოცხლის ფესვები მთლიანად მას ეკუთვნოდა. მოკლულ მამას არაყი აართვა და მესვა, მაგრამ თურმე არაყი მოწამული ყოფილა და მისი მკვლელიც იქვე მოკვდა. (მეორე მამსაც ხომ სწოდა გამდიდრება! — არაყი მოწამლა). სამივე მამა სიმდიდრეს შეეწირა, სიცოცხლის ფესვები დალბა. მას შემდეგ კორეელები გამდიდრებისათვის აღარ ეძებენ სიცოცხლის ფესვებს, არამედ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მშები მოემზონ.

თარგმნა გრ. ბაჩქინიშვილმა





# მეცნიერების კერა ანასეულში

ვისაც დას ვლეთ საქართველოში უმოგზაურია, მას უნახავს მარადმწვანე ჩაის თვალწვედნი პლანტაციები. როდესაც მათ შორიდან უცქერთ, გგონიათ მიწაზე მწვანე ხავერდის ქსოვილია დაფენილი, რომლის შუიანი და ჩრდილოვანი ნაკვეთები მშვენიერ ბუნებას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. ჩაის პლანტაციებით მოხატულია გურიის, აჭარის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და იმერეთის რაიონები.

საქართველოში ჩაის კულტურის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარება საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დაიწყო. მანამდე აქა-იქ თუ შეხვდებოდა კაცი ამ მეტად სასარგებლო მცენარეს შავი ზღვის სანაპიროებზე. ზოგან დეკორაციულ ბაღებში რგავდნენ ხოლმე როგორც მარადმწვანე ბუჩქს.

სუბტროპიკულ რაიონებში, ჩაის კულტურასთან ერთად, ფართო გავრცელება ჰპოვა ციტრუსებმა. როგორც ჩაი ისე ციტრუსები განსაკუთრებულ ყურადღებასა და მოვლა-პატრონობას საჭიროებს. სოფლის მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგები დიდხანსა იქნა მეცნიერული შესწავლისა და ზრუნვის საგნად. ამ მხრივ მეტად საინტერესო მუშაობას აწარმოებს ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ჩამოყალიბებულია ანასეულში. ინსტიტუტს ფილიალები აქვს ჩაქვსა, ზუგდიდისა და სოხუმში.

ანასეული ქალაქ მახარაძის ახლოს მდებარეობს. ვინც ქალაქ მახარაძის ახლოს მდებარეობს, იგი უფროდ ანასეულსავე უნდა იწვიოს. ავტომანქანით გაივლით მონიარვ ზოგჯერ ხდის. სოფელ მაკანეთს, შეუხვდით მარცხნივ და მიადგებით დიდ თაღებთან კიშქარს. როცა კიშქარში შეხვალთ და ცოტა მანძილს გაი-

ლით, თქვენს წინ გადაიშლება ვრცელი დეკორაციული ბაღი, რომელშიც აღმართულია თეთრი, ღამაზი ორსართულიანი შენობა. ეს დეკორაციული ბაღი ინსტიტუტს ეზოა, თეთრ შენობაში კი ინსტიტუტის მთავარბინელი.

ოცდაათი წლის წინათ ანასეული ეკალბარდითა და ტყით დაფარულ ადგილს წარმოადგენდა. საბჭოთა ადამიანებმა გაჩვენეს ტყე და ეკალბარდი. მალე მათ ანასეული ბაღად, ჩაისა და ციტრუსების სამეცნიერო საცდელი პლანტაციებით მოხატულ მიდამოდ აქციეს.

ანასეულში ახლა მეტად საინტერესო მეცნიერული მუშაობა სწარმოებს. ინსტიტუტის ლაბორატორიებსა და კაბინეტებში მიჩურინული მეთოდით აღჭურვილი მეცნიერ-მუშაკები გულმოდგინედ ეკვლივენ ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა მოვლა-მომწვინებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეცნიერული მუშაობის გეგმიანად წარმართვისათვის ინსტიტუტს აქვს განყოფილებები, რომლებიც თავიანთი სახის (პროფილის) მიხედვით მუშაობენ. ასე მაგალითად, აგროტექნიკის განყოფილება შესწავლის ჩაის გაშენებასა და მოვლის საკითხებს, ყვამოდ ჩაის კრფის წესებს, რაზედაც დამოკიდებულია მოსავლიანობის ზრდა და ჩაის ფოთლის ხარისხი.

მეცნიერმუშაკმა ს. ფირცხალიძეიომაცა მიემუშავა ჩაის კრფის სისტემა. ეს სისტემა ახლა გამოყენებულია მეურნეობაში.

ჩაისა და ციტრუსების გაშენებისა და ნადავის დამუშავების საქმეში მიღწევა აქვს აგროტექნიკის განყოფილების გამგეს შ. ვიგებრიას.

ჩვენ ვიცით, ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. მიჩურინი რა გაცაცებით მუშაობდა ხეხილის ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების

გამოყვანაზე. მიხურინის მიერ მეცნიერულად დადგენილმა წესებმა ფართო გავრცელება პოეზის სოფლის მეურნეობის ყოველ დარგში. ახლა ჩვენს დიდ სამშობლოში ათასობით მიხურინელი მუშაობს ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანაზე მებაღეობის, მეცხოველეობისა და მარცვლოვანი კულტურების განხრით. ამ დიდ მუშაობაშია ჩაბმული ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სულქციის განყოფილების მუშაკები წარმატებით მუშაობენ ჩაის ახალი ჯიშების გამოყვანაზე. როგორც ცნობილია, ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილია ქართული ჩაი № 1 და № 2. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ გამოიყვანა აგრეთვე ჩაის ჯიშები ჩრდილოეთისა და გვალვიანი რაიონებისათვის.

ჩაი და ციტრუსი, როგორც მცენარე, როგორც ცოცხალი არსება ზოგჯერ ავადდება, რაც იწვევს მათი მოსავლიანობის დაცემას. თუ დროზე არ უწამლეს, შეიძლება ვახშის კიდეც. მეცნიერების ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ეს საკითხი. ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის განყოფილება იკვლევს ჩაისა და ციტრუსების დაავადების მიზეზებს და იმუშავებს მასთან ბრძოლის წესებს.

როგორც ცნობილია, იკრიფება ჩაის ნორჩი ფოთოლი. ის რომ მოვიხმაროთ, საჭიროა მისი გადაამუშავება. ამისათვის აშენებულია ფაბრიკები. აქ ნორჩ ფოთლებს აქნობენ, გამოაშრობენ, გრეხენ და აძლევენ იმ სახეს, რომელსაც ჩვენ ვყიდულობთ და მოვიხმართ. ეს გადაამუშავება მეცნიერების მიერ დადგენილი წესებით ხდება. ანასეულის ინსტიტუტში ჩაის ფაბრიკისა და, მასთან დაკავშირებით, ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს იკვლევს ტექნოლოგის განყოფილება.



მოსავლიანობის გადიდების მიზნით ნივთიერებებში შეაქვთ მინერალური სასუქები. მაგრამ სასუქების შეტანა ყოველთვის არ იქნება სასურველ შედეგს. სასუქებმა მოსავლიანობა რომ გაზარდონ, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რა სახის ნივთიერება გვაქვს საქმე და როგორი შემადგენლობის სასუქებს საჭიროებს იგი. იმ საკითხებზე, თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის მინერალური სასუქი ამა თუ იმ ტიპის ნივთიერებაზე, მუშაობს აგრეთვე ჩაის ლაბორატორია.

სასუქების გამოყენების კვლევის საქმეში საგრძნობი მიღწევა აქვს მეცნიერ მუშაკს მ. გაბისონიძის.

ასევე ნაყოფიერად მუშაობენ თავიანთი პროფესიის მიხედვით ინსტიტუტის სხვა განყოფილებები და კაბინეტები.

ინსტიტუტში ანასეულში ათვისებული აქვს 110 ჰექტარი მიწის ფართობი, აქედან ჩაის უკავია 66 ჰექტარი, ციტრუსებს — 13. დანარჩენ ფართობზე გაშენებულია ტუნგო, ხურმა, ფეიხოა, ბამბუკის სახერგე, დეკორატიული ბალი, ხეხილი, ვენახი და სხვ.

საინტერესოა ჩაის საცდელ ფართობებზე თვალის მოკვება. აქ ზოგან ჩაის მწკრივიბი ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან გაშენებული, ზოგან კი საგრძნობლადაა ერთმანეთისაგან დაშორებული. შეგვხვდებოდა უმწკრივივოდ გაშენებული ნაკვეთიც. მათზე დაკვირვებით მეცნიერები არაკვევენ, თუ როგორი წესით გაშენებულია ჩაი იძლევა მეტ მოსავლასა და უკეთეს ხარისხთან ფოთოლს.

სხვა ნაკვეთებზე ყურადღებას იქცევს ჩაის ფოთლების ფერი. აგრეთვე ფოთლებს მოყვითალო ფერი აქვს, მის მეზობელ ნაკვეთზე — ღია-მწვანე ფერი, დაშორებით კი — მუქი-მწვანე. ამისდამხინდვით, ბუჩქები ზოგან დაკინებულა, ზოგან ლალად გაზრდილი.

რატომ? — იკითხავთ ალბათ.

ნაკვეთებში მინერალური სასუქები შეტანილია სხვადასხვა შემადგენლობისა და სხვადასხვა რაოდენობით. ამ ნაკვეთებზე დაკვირვებით მეცნიერები იკვლევენ, თუ რა გავლენას ახდენს ნივთიერება, ჩაის ბუჩქის ზრდა-განვითარებასა და ფოთლის ხარისხზე ამა თუ იმ რაოდენობით შეტანილი ესა თუ ის მინერალური სასუქი.

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თავისი მეცნიერული გამოკვლევებისა და ცდების საფუძველზე იგი სახავს ახალ და ახალ აგროტექნიკურ ღონისძიებებს. რომლებიც ინერგება მეურნეობაში და მიღლა სწევს ჩაის მოსავლიანობას.

ბ. კაიანაძე





**მიხილ ჯაჟარია**

**პიმსა მრთ სურათად**

ნახ. ვ. პეტეცკაიასი

მოკმედი პირები:

- 1. საჩინო
  - 2. გივი
  - 3. მაკუტა
  - 4. ნუნუ
  - 5. ცაცა
- ერთი ეზოს ბავშვები.

(ეზოში, დიდი ხის ქვეშ, ფანერის ცარიელ ყუთზე ხის მაკუტა, ჯოხებს თლის. ნუნუ გარეხილ ცხვირსახოცებს ჰჭუნებს თოჯნე.)

**ნუნუ** — მაკუტა! რა კარგი ბურთი ჰქონია საჩინოს!

**მაკუტა** — ეხ! (დაყოფების შემდეგ) — რადგან ხუთოსანი გახდიო, უყიდა მიმამისმა!.. ვეხვეწე, ნუნუ, ჩემს ორივე ბურთს ვაძლევედი, სათავად შურდულსა და სალამურს ვამატებდი და მაინც არ გამიცვალა! ოპ!

**ნუნუ** — ოპ!

**მაკუტა** — მაშ! (დაყოფების შემდეგ) — დამწყვიტა გული, მაგრამ არაფერია!

**ნუნუ** — არაფერია, გახდი ხუთოსანი და შენც გიყიდანი!

**მაკუტა** — ოპო, ადვილი სათქმელია „გახდი“.

**ნუნუ** — აბა, თუ იზარმალებ...  
**მაკუტა** — (აწყვდითებს) — მე რომ მეთუნები, შენ რატომ არა ხარ ხუთოსანი?

**ნუნუ** — გაეხდები! აი, სულ ვიმეცადინებ, საჩინოსავით ვიმეცადინებ და უსათოოდ გაეხდები.

**მაკუტა** — ჰმ! „საჩინოსავით!“ საჩინოს მე ვიმეცადინებდი ანგარიშში!

**ნუნუ** — ოო... შენ კი არა...

**მაკუტა** — დედას გეფიცები!.. კითხე ბიჭებს! გინდა თვით კითხე საჩინოს და გეტყვის!

**ნუნუ** — მერე?

**მაკუტა** — რა?

**ნუნუ** — არ გრცხვენია?

**მაკუტა** — ოოხ... შენც დამიწყებ ახლა დედაჩემივით... დღე და ღამე თუ წიგნებს გადაეყვი...  
**ნუნუ** — აბა, თალე აგრე ეგ... მართლა რას თლი მაკუტა?

**მაკუტა** — ჯოხებს დაფაფისათვის!

**ნუნუ** — დაფადი გაქვს თუ?

**მაკუტა** — არა, მაგრამ როცა მექნება...

**ნუნუ** — აუ!..

**მაკუტა** — რა იყო?

**ნუნუ** — მოგცლია...  
(ნუნუ აიღებს გამზადებულ ჯოხებს და ფანერის ყუთზე შეგედება ხორუმის დაკვრას, მაგრამ არ გამოუღის).

**მაკუტა** — აჰ! აგრე არა გოგო, არა!..

**ნუნუ** — დიაცა!

(ნუნუ ჯოხებს გადადებს და ხელით უკრავს, მაგრამ ვერც ხელით ახერხებს).

**მაკუტა** — იიპ!.. გამო, აქეთ გამოდი!

(მაკუტა გამოსწვეს ნუნუს და თვითონ დაჯვრავს ხორუმს ყუთზე. ნუნუს მოეწონება დაკვრა და ცეკვით გასწვეს სარეცის ვასასწორებლად. გასწორების შემდეგ ამწინეს, რომ გარედან ცეკვითვე შემოდიან გივი და ცაცა).

**ნუნუ** — მაკუტა! მაკუტა!

(მაკუტა მოიხედავს, დაინახავს თუ არა შემოსულებს, მყისვე დაკვრას აპლიერებს. გივის და ცაცას უერთდება ნუნუს... ცეკვას თაოსნობს გივი, რომელიც მიუახლოვდება სარეცს და ხელით მოსინჯავს).

**გივი** — ჰეი, ნუ-ნუ!.. გამ-შრა-ლა... ეს, შე-ნი, სა-რე-ცხი!..

**ყველა** — გამ-შრა-ლა! გამ-შრა-ლა!, ჰეი,  
ნუ-ნუ!.. სა-რე-ცხი!..

(სხადასხვაგვარი იღვთებით უახლოვდებიან თოკს და სათითოდ დაითრევენ ცხვირსახოცებს. ამ დროს გამოჩნდება საჩინო, რომლისკენაც ცუკვით და შემახილით გაუმართებიან):

— სა-ჩი-ნო!.. სა-ჩი-ნო!.. მო-ბრძა-ბნდი! მო-ბრძა-ბნდი!..

(საჩინო მოულოდნელობისაგან მყისვე შესდგება. მაგრამ უმაღვე საპასუხო ცუკვით დაიმკრის).

**საჩინო** — მო-ვდი-ვარ! მო-ვდი-ვარ!..

(უბნად მაკუტა შესწყვებს დაკვრას, ყველა გაოცებით მიხედვს მაკუტას. ჯერ შეჩერდებიან და შემდეგ უკინით მიეჭრებიან):

— რა ნოსდა, მაკუტა?

— რად შესწყვიტე?

— არა გრცხენია?

— დაუკარი! დაუკარი!


**მაკუტა** — დავილაღე! აღარ შემიძლია! ხელი მეტკინა!

**საჩინო** — (მოულოდნელად, მტკიცე კილოთი) — არა მაკუტა!

(ყველა საჩინოსკენ მიიხედვს).

**ყველა** — ხელი კი არა...!

**მაკუტა** — (აწმვეტინებს) — მაშ, რა?



**საჩინო** — მანდ სხვა მიზეზია!

**მაკუტა** — რა მიზეზი?

**საჩინო** — რაც არის!

**ყველა** — რა არის? რა, რა?

**საჩინო** — თუ გამბედავია, თვითონ იტყვის.

**მაკუტა** — „გამბედავია!“ — ხელი მეტკინა, სხვა რა უნდა იყოს?!

**საჩინო** — ეთქვა?

**ყველა** — თქვი! თქვი!..

(საჩინო ისე მნიშვნელოვნად გადახედვს მაკუტას, რომ მაკუტა გახელებული წამოიჭრება ყუთიდან და გამომწვევად გადაუდგება წინ საჩინოს).

**მაკუტა** — მე რას მიყურებ? ჩემზე რა უნდა თქვა, რა!

**საჩინო** — ის, რომ შენ ჩემზე ხარ გაბრაზებული, რადგან...

**მაკუტა** — (ჩაუთავს) — არაფერიც!

**საჩინო** — რადგან... ბურთი არ გაგიცვალე, და ახლა...

**მაკუტა** — (აწმვეტინებს) — რა გგონია ეგ შენი ბურთი? — (ნაძალადევად გაიცინებს) — აჰა, იცქვეთ!.. — (მოიჭრება ყუთთან და მთელი თავისი ძალღონით განაგრძობს ხორუშის დაკვრას, მაგრამ ადგილიდან არავინ დაიძვრის). — ჰე! რას შვრებით? რას გაჩერებულხართ? რატომ არ ცუკვავთ?!

**გივი** — რა მოგივიდა ბიჭო? რა იყო?.. რა ბრაზი ვახრობს?

**მაკუტა** — არაფერიც!.. მე ძალიან კარგ გუნებაზე ვარ! გინდათ დაუკარი, ეიცუკვო! თუ არა და სხვა რანეს გეთამაშებით! რაც გინდათ! გინდ ლახტი, გინდ ფარიკაობა! გინდ დაიძალეთ, მოგნახავთ!

**გივი** — მოდი!.. თუშვა, სად?.. ჩვენს ეზოში ისეთ ადგილას სად დაიძალებთ, ვერავინ მოგნახოს?

**ყველა** — ჰო! ვერსად, ვერსად!

**საჩინო** — თქვენ ხომ აგრე ამბობთ, ჰოდა მე დავიძალბო!

**გივი** — სად ბიჭო?! ამ ეზოში?!

**საჩინო** — ჰო!

**მაკუტა** — ისე, რომ ვერავინ მოგაგნოს?

**საჩინო** — ისე, დიხს, ისე!

**გივი** — ოხ, კარგი ერთი...  
**საჩინო** — შენ რა გინდა, დავიმალები!  
**მაკულა** — არა მგონია!  
**საჩინო** — დამენაძლევეთ!  
**მაკულა** — წააგებ!  
**საჩინო** — ენახოთ!  
**გივი** — კარგი! მოდი! (ხელს გაუწვდის) — აჰა! რაზე იყოს?  
**საჩინო** — (ხელს აბრუნებს) — რაზეც გინდა!  
**გივი** — რა ვიცი, (ხველას) — თქვით.  
**ნუნუ** — კინოს ბილეთზე!  
**საჩინო** — არა, სტადიონის!  
**გივი** — კარგი! შენ?  
**მაკულა** — ეგ თავის ბურთზე აიღებს ხელს!  
 (საჩინო გადახედავს მაკულას).



**საჩინო** — კარგი! ავიღებ ხელს!  
**ჟველა** — (გაოცებით) — აა?  
 (საჩინო მიუბრუნდება გივის და ცხვირსახოცს გაუწვდის).  
**საჩინო** — აიხვით თვალი!  
**გივი** — მოიტა!  
**საჩინო** — (მაკულას) — აუბვიე?  
 (მაკულა თვალს უხვევს გივის ცხვირსახოცით. ნუნუ და ცაცა საჩინოსთან მიირბენენ და თანაგრძობით ფრურულაობენ).

**ნუნუ** — რომ მოგაგნოს!  
**ცაცა** — რომ მოგაგნოს!  
**საჩინო** — (ჩუმად) — ვერა, ვერ მომაგნებს!  
**მაკულა** — აჰა! მზად არი!  
 (საჩინო მიდის და სინჯავს, გივის რამდენად კარგად ატვს ახვეული თვალი).

**გივი** — კარგია?  
**საჩინო** — კი!  
**მაკულა** — (საჩინოს) — აბა, დაიმალო!  
 (გოგონები განზე გადმენ, საჩინო ფრთხილად შეჭრეზა ფანერის ყუთში, ეს საჩინოსათვის მოულოდნელია, გადახედავდენ ერთმანეთს. მაგრამ არაფერს ამბობენ, თავს შეიკავებენ, ხელით ანიშნებენ ერთმანეთს: ჩუმიად და დაიცაო).

**ჟველა** — (დაყოვნების შემდეგ) — დაიმალო! დაიმალო! აბა! მღვდარო აიხილე! აიხილე!  
 (გივი იხსნის ცხვირსახოცს, მიხედ-მოიხედავს, შემდეგ აქეთ-იქით გაქცევასაც შეეცდება, მაგრამ არ იცის საით მოქებნოს, მაკულა ფრთხილად, ისე, რომ გოგონებმა ვერ შეამჩნიონ, ხელით ანიშნებს გივისა აქ არისო. გივი მყისვე მიირბენს ყუთთან და დააკაუნებს).

**გივი** — აბა, დამალული! გამობრძინდი!.. (მაკულა და გოგონები ტანისცემას და ყვირას ასტეხენ):  
 — ოოო... მოგაგნო დამალულოო...  
 — გიპოვა დამალულოო...  
 — გამოდი დამალულო... გამოდიი...

(საჩინო მყისვე გამოჭრება, დაბნეული, გაოცებული).  
**გივი** — ხომ მოგაგენი!  
**ნუნუ** — ხომ გითხარი!  
**ცაცა** — ხომ გითხარი!  
**გივი** — წააგე საჩინო! მოიტა შენი ბურთი.  
**საჩინო** — ბურთი?  
**მაკულა** — სიტყვა, სიტყვა! ახლა რაღას იზამ? წაგებული გაგვს და ეგ არი! მორჩა, უნდა მისცე!  
**საჩინო** — მერე, შენ რა გიხარია?  
**მაკულა** — (შემკრთალი) — მე? მე, რა?.. მე არაფერი...

(მაკულა თავს უბერხულად იგრძნობს და განზე გადაგება. საჩინო მას თვალს გააყოლებს და გივის მოუბრუნდება).  
**საჩინო** — ახლავე გამოგიტანი!  
 (საჩინო სირბილით გადის, გივი და გოგონები თვალს გააკოლებენ მას და ჩაუჭრებულნი უბრავად დგებიან).  
**გივი** — (ხანდახის შემდეგ) — გოგონებო!  
**გოგონები** — აა?



**გივი** — (ღუმბილის შემდეგ)— შეწყობდა ხომ!

**გოგოები** — ჰო! ჰო!

**გივი** — ძალიან დაწყდა გული, არა?

**გოგოები** — ძალიან! ძალიან!..

**ნუნუ** — როგორ შემეცოდა!

**ცაცა** — მეც! მეც!

(შემოდის საჩინო და შემოაქვს ბურთი).

**საჩინო** — აჰა, გივი! შენი იყოს!

(გადასცემს ბურთს და მიდის).

**გივი** — საჩინო! საჩინო!

**საჩინო** — (მოუბრუნებლად შეჩერდება) — რა გინდა?

**გივი** — დაიცა! (ხელით შემობარუნებს საჩინოს და ბურთს მიაწოდებს). — ა ძმაო, შენი ბურთი! წაიღე უკანვე! ეს მე არ მეკუთვნის!

**საჩინო** — რატომ?

**გივი** — მე შენ არ მიპოვებხარ; მოგატყუე და ბოდიშს ვიხდი!

**საჩინო** — რა? მაშ როგორ? რომ მომაგენი?! რანაირად მიპოვე? (გივი სდუმს თავდახრილი, გოგოები შეჭყურებენ, განზე გამდგარი მაკუტა ჩუმუნად გამოიხედავს). — ნუთუ... (შეჩერდება) — ნუთუ გამამხილა ვინმემ!

**გოგოები** — (მყისვე) — რას ამბობ, საჩინო!

**ცაცა** — უი! დედა არ მომიკვდეს!

**ნუნუ** — თავად მოგაგნო გივიმ! თავად!

**გივი** — (გოგოებს) — დაიცა!.. გაჩუმდით! არ იცით თქვენ! საჩინო მართალს ამბობს!

**გოგოები** — რაო, რაო!

**ნუნუ** — მერე, ვინ გათქვა, ვინ გაამხილა?

**გივი** — ეგ სულ ერთია!

**ნუნუ** — რას ქვია „სულ ერთია!“

**ცაცა** — აგრე ლაპარაკი როგორ შეიძლება?! აქ ჩვენს გარდა ვინ იყო?

**ნუნუ** — ახლავე უნდა თქვა, ახლავე უნდა დაასახელო ვინც არი!

**გივი** — არა, არ დავასახელებ! მართალია ის გამთქმელია, მაგრამ მე მას მაინც არ გავამხელ, არ შევარცხვენ! თქვენ რა გაწუხებთ? ის თუ გამბედავია, თუ თავმოყვარეა, თავად აღიარებს თავის ცუდ საქციელს!

**მაკუტა** — (თავს ვეღარ შეიკავებს) — ბიჭებო! — (შეწუხებული) — მპატიეთ!..

**გოგოები** — აა?!

**ფ ა რ დ ა**



## ლენინის სერის

ლენინის სერი ყველაზე მაღალი ადგა-  
ლია მოსკოვში. აქედან იშლება დედაქალაქის  
შესანიშნავი ხედი. ამ სერის ძირში კლაკე-  
ნით მიედინება მდინარე მოსკოვი. აი სწო-  
რედ აქ სწარმოებს მოსკოვის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ახალი შენობის მშენებლო-  
ბა. ეს იქნება ვეებერთელა, ოცდაექვსსარ-  
თულიანი მეცნიერების სასახლე.

შეყენის ყოველი კუთხიდან ჩაღინ მოსკოვ-  
ში სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები:  
რუსები, უკრაინელები, სომხები, უზბეკები,  
ქართველები, ბელორუსები და სხვ. მოსული  
ახალგაზრდებისათვის უკვე პატარაა უნი-  
ვერსიტეტის ძველი შენობა.

გაივლის რამდენიმე წელი და პირველი  
სტუდენტები ესტუმრებიან მოსკოვის უნი-  
ვერსიტეტის ახალ შენობას ანუ მეცნიერების  
სასახლს.

მარმარილოს განიერი კბეებით შევლენ  
ვესტიბიულში. უხმაურო ლიფტი აიყვანს მათ  
ნათელ აუდიტორიებში, უზარმაზარ სალექ-  
ციო დარბაზებსა და ლაბორატორიებში.

ყველა დარბაზი მაღალკერაანია. მთელი  
კედლი მინისაა და ისეა დაკეთებული, რომ  
მზე უხეოდ აფრქვევს სინათლეს. საღამოს  
ისეთი სინათლეა, როგორც დღისით. კედ-  
ლები და ჭერი დაფარული იქნება სპეცია-  
ლური საღებავით, რომელიც გააუმჯობეს-  
ებს მოსმენას. — სტუდენტი დარბაზის  
რომელ კუთხეშიაც არ უნდა იჯდეს, გაიგო-  
ნებს ლექტორის ყოველ სიტყვას. ყველა  
სალექციო დარბაზში მოწყობა კინოდახა-  
დარები და რადიო.

ზამთარში სითბო იქნება ყოველთვის და  
ზაფხულის სიცხეში კი სიგრილე. სპეცია-

ლური დანადგარები მიაწოდან სუფთა და  
გრილ ჰაერს. ლაბორატორიებში სიწყნარე  
იქნება. ხმაურობა არ შემოიჭრება გარედან.

ლენინის სერის ფერდობზე გაშენებუ-  
ლი იქნება უნივერსიტეტის შესანიშნავი ბა-  
ლი, საჩრდილებელი ხეივანით, შადრევნე-  
ბით და სპორტული მოედნებით. გვერდით  
იქნება მეროე — მოტანიკური ბაღი, სადაც  
უნივერსიტეტის სტუდენტები შეისწავლიან  
მეცნიერების ყოველი მხრიდან შეკრებილ მცე-  
ნარეებს.

ბალის უკან, ლენინის სერის ყველაზე  
მაღალ ადგილას, აღიმართება შენობის მთა-  
ვარი კორპუსი, რომლის სიმაღლე 140  
მეტრს მიაღწევს.

მთავარი კორპუსის გარდა შენდება ცალ-  
კე ფაქულტეტების შენობები: ობსერვატო-  
რიებისათვის, მუზეუმებისათვის, ბიბლიო-  
თეკებისათვის და საერთო საცხოვრებლენი-  
სათვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში  
ერთი მილიონ ორასი ათასი წიგნი იქნება.  
ასტრონომი-სტუდენტები ცას შეისწავლიან  
შპენიერად მოწყობილ უნივერსიტეტის ობ-  
სერვატორიაში, ბიოლოგი-სტუდენტები სა-  
ცდელ ნაკვეთებზე შეამოწმებენ მოწინავე  
მიჩურინული მეცნიერების ახალ მიღწევებს,  
ქიმიკოსი და ფიზიკოსი სტუდენტები შეს-  
ძლებენ ყოველგვარი კვლევითი მუშაობის  
ჩატარებას მრავალრიცხოვან ლაბორატორი-  
ებში, რომლებიც მოწყობილი იქნება რთუ-  
ლი და ჭუსტი ხელსაწყობით.

ეს იქნება ჯერ არანახული მეცნიერული,  
სასწავლო ცენტრი.

მ. რაზმაქი

თბილისის  
ისტორიულ-ეთნოგრაფიული  
მუზეუმი



თბილისში, კომკავშირის ხეივნის ბოლოს, ერთსართულიანი წითელი შენობა დგას. ეს თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

ხელისგულივით მოსჩანს კომკავშირის ხეივიდან ჩვენი საუკეთესო დედაქალაქი, მისი ფართო ქუჩებით, მოედნებით, ლამაზი სახლებით, პარკებით, მწვეანებში ჩაფლული სანაპიროთი. ასე გამშვენიერდა ჩვენი დედაქალაქი სტალინური ხუთწლეულების მანძილზე. სიამოვნებით გასცქერი ამ თვალწარმატებულ სანაპიროს კომკავშირის ხეივიდან რომ არის გადაშლილი და ფიქრით უნებელივდ დედაქალაქის შორეულ წარსულს უბრუნდები: რამდენი სისხლისმღვრელი ბრძოლა, დარბევა და ომები გადაიგნა ჩვენმა თბილისმა, რა მიდიდარი და მრავალფეროვანია მისი ისტორია!

აი, შეგვიფაროთ მუზეუმში და მის ცხრა დარბაზში გამოფენილი ძვირფასი ექსპონატები სწორედ ამ წარსულს აცოცხლებენ ჩვენი წარმოდგენაში, და არა მარტო წარსულს, — ისინი მრავალმეტყველად წარმოგვიდგენენ თბილისის დიდებულ აწმყოს და კიდევ უკეთეს მომავალს.

გამოუყნა იხსნება თბილისის დაარსების ამსახველი ლეგენდით:

ვახტანგ გორგასალი თავისი ამალით ადირობის დროს ტყის სიღრმეში შევიდა. ვახტანგ მეფემ ზოხობი დასჭრა, დაჭრილი ზოხობი იქვე წყალში ჩაეარდა და როცა წყლიდან ამოიყვანეს, ნახეს, რომ ზოხობი მოზარდშულიყო. იმდენად ცხელი აღმოჩნდა წყალი — იგი დუღდა. ვახტანგ მეფემ ბრძანა სწორედ ამ ადგილზე ქალაქის გაშენება. ახალგაშენებულ ქალაქს მეფემ თბილისი უწოდა. ეს ერთი იმ მრავალთაგანია ლეგენდა, რაც ხალხს შეუქმნია თბილისის დაარსების შესახებ.

თბილისის კარგი სტრატეგიული ადგილმდებარეობა ჰქონია — მასზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც ქართლს სხვა სახელმწიფოებთან აკავშირებდა, ქალაქის გამაგრებაც ადვილი იყო. მე-8 საუკუნემდე ქართლის ცენტრი მცხეთა იყო, ხოლო მე-9

საუკუნეში მას თბილისმა წაართვა პირველობა და ქართლის დედაქალაქი გახდა.

თბილისს ბევრი მტერი ჰყავდა და ქალაქს არა ერთი ბრძოლა გადაუტანია. მხატვარ თ. აბაქულიას საუცხოოდ აქვს ასახული თბილისის დაცვა შემოსეული არაბებისაგან მე-7 საუკუნეში.

გადის საუკუნეები. საქართველო ერთიანდება და ძლიერდება. 1122 წელს დავით აღმაშენებელმა თბილისს ალყა შემოარტყა და აქ გაბატონებული არაბები განდევნა. 400 წლის განმავლობაში უცხოელთა ხელში ნამყოფი საქართველოს დედაქალაქი კვლავ ქართველებს დაუბრუნდა.

მუზეუმში მიდიდარი დოკუმენტალური მასალებია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელ თბილისზე.


გამოფენაზე ცალკე სტენდი აქვს დამობილი ქართლის მოურავის გიორგი საყაძის ცხოვრებას და მოღვაწეობას მე-17 საუკუნეში.

აღსანიშნავია ერეკლე II დროინდელი თბილისის ამსახველი სურათები. ერეკლე II პორტრეტი, მესრულებული უცნობი მხატვრის მიერ, მხატვარ რომანოვსკის სურათი — კრწანისის ბრძოლების ეპიზოდებზე და მხატვარ ს. მაისაშვილის სურათი 300 არაგველთა თავდადებულ გმირობაზე.

მუზეუმის ორი დარბაზი დამოიბილი აქვს მე-19 საუკუნის თბილისის მასალებს — სავაჭრო კაპიტალიზმის შემოჭრას თბილისში; ადგილ-მიცემობას ძველ თბილისში, თბილისის მოქალაქეთა ტიპების პორტრეტებს, იმ დროინდელი ქალაქის ტრანსპორტს, სავაჭრო დაწესებულებებს. ამ განყოფილებაში აღსანიშნავია აგრეთვე მაშინდელი თბილისის ყოფაცხოვრების ამსახველი სურათები: „ყეენობა“, „ყოჩობა“, „ჭიდაობა“, „ქეიფი“, „აბანოში“ და სხვა. აქვე გამოფენილია ძველი ამქრების დროშები, საკარავი ინსტრუმენტები, ძველი ტანსაცმელი.

\*\*\*

მეტად მიმზიდველად და მესრულებულ მუზეუმის ცალკე დარბაზებში წარმოდგენილი, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით



ყოფილ სასულიერო სემინარიის შენობის მკვეტი. ამ სასწავლებელში სწავლობდა ი. ბ. სტალინი.

დალაგებული დოკუმენტალური მასალა, რომელიც ეხება მეფის თვითმკვრობებლის წინააღმდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატის ბრძოლას.

მაგფიოდ და ვრცლად არის ასახული თბილისის ის ისტორიული ადგილები (სემინარიის შენობა, ობსერვატორია, ჩოდრიშვილის ყოფილი სტამბა, ავლბარის არალეგალურა სტამბა და სხვა), რომელიც მკვიდროდაა დაკავშირებული ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველი ხალხისათვის დადგა ახალი ერა. საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. გამოფენის ორ დარბაზში ნაჩვენებია—თბილისის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განყოფილებას წინ უძღვის მხატვრულად გაფორმებული სტენდი — ამხ. ორჯონიძის დეპეშა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს:

„თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! **ორჯონიძიძე**“.

შემდეგ ნაჩვენებია მხატვარ რომანოვსკის სურათი: პირველი ბოლშევიკური მიტინგი თბილისში 1921 წ. 25 თებერვალს. იქვეა ი. თოიძის სურათი „პირველი ზეიმობა“.

ამ განყოფილებაში წარმოდგენილი მასალები გვოჩვენებენ, თუ როგორ შეი

ცვალა საქართველოს დედაქალაქი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

განსაკუთრებული ზრდა და კეთილმოწყობა განიცადა თბილისში საბჭოთა ხელისუფლების იმ პერიოდში, როცა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლ. პ. ბერია. ამხანაგ ბერიას უწყულო ხელმძღვანელობით თბილისის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უღამაზეს ქალაქად გადაიქცა.


თბილისი სწრაფად იზრდება, იზრდება მისი მშენებლობა, ელექტროფიკაცია, ტრანსპორტი... გამოფენაზე ნათლად არის წარმოდგენილი ამ ზრდის მარევენებელი სურათები, დიაგრამები.

გამოფენას ახლა სხვა პერიოდში გადაეყარათ: 1941 წელს ჩვენს სამშობლოს მუხანათურად თავს დაესხა ვერაგი მტერი — ფაშისტური გერმანია. გამოფენის მეცხრე დარბაზში ასახულია კავკასიის გმირული დაცვის ეპიზოდები და ამ საქმეში ამხანაგ ლ. პ. ბერიას უდიდესი ღვაწლი.

გამოფენა თავდება განყოფილებით: მე-4 სტალინური ხუთწლედის თბილისი. აქ მოცემულია დიაგრამები და დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებენ თბილისის სახალხო მეურნეობის ახალ ზრდას (ბულჩაურის წყალსადენი, სამგორი, რუსთავეი და სხვა).

ასეთია ამ მუზეუმის შესანიშნავი გამოფენა. ქალაქ თბილისის ისტორიის უკეთ და საფუძვლიანად შესწავლის საქმეში იგი დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს პიონერებს და მოსწავლეებს.

**გიორგი ლომინაძე**



ციხე-სიმაგრე მეტეხის მკვეტი.



ი ც ი თ თ უ ა რ ა თ ქ ე ე ნ

... რომ ერთი სანტიმეტრის სი-  
გრძელზე, ანუ ასეთ ხაზზე —  
ასი მილიონი ატომი ემტევა?

... რომ ნიუ-იორკის ცენტრში,  
დაუსთავრებელი შენობის 23-ე  
სართულზე აღმოჩენილ იქნა ქო-  
რის ბუდე ქორები ნადირობდნენ  
მტრედებზე. ბუდის ახლომახლო  
ნახული ძველებისა და ფეხების  
მიხედვით გამოკრეულთა, რომ  
ერთ წლის განმავლობაში მათ  
700-დან 1.000-მდე მტრედი მოუ-  
სპიათ.

... რომ 1926 წელს ოდესაზე  
გადაიარა ნიადაგბა მსხვილი სე-  
ტყვით. ზოგიერთი სეტყვის მარ-  
ცვლის წონა 300 გრამს აღწევდა.  
ჩამოვარდნილი სეტყვის მარც-  
ვლის ყველაზე დიდი წონა რეგის-  
ტრირებულია ინდოეთში, 1929  
წლის ნიაღვრის დროს, როდესაც  
ცალკეული სეტყვის მარცვლის,  
ან უფრო სწორად — ყინულის  
ნატების, დიამეტრი 13 სანტიმეტ-  
რი იყო და დაახლოებით 1 კილო-  
გრამს იწონიდა.

... რომ ზღვის დონეზე საშუა-  
ლო ატმოსფერული წნევის სიდი-  
დე 760 მილიმეტრს უდრის, მაგ-  
რამ წრთენის შემდეგ ადამიანს  
შეუძლია შეეგუოს აგრეთვე და-  
ბალ ატმოსფერულ წნეებასაც —  
იციხვორის მაღალ მთაზე. რომ  
ყველაზე უმაღლესი ადგილი მსო-  
ფლიოში, სადაც მუდმივად ცხოვ-  
რობენ ადამიანები, არის ტიბეტ-  
ში. ესაა პატარა სოფელი ტუკ-  
ჯალუნგი, რომელიც მდებ. რე-  
ობს ზღვის დონედან 4.970 მეტრ-  
ზე. იქ ატმოსფერული წნევა (0  
გრადუსი ტემპერატურის დროს)  
სულ რაღაც 418 მილიმეტრია.

... რომ ადამიანის ცნობივან  
თმის თვისება აქვს დამოკიდებ-  
ნიშნად და დეკარდულდეს ნოტიო  
ჰაერზე. თმის ასეთი თვისე-  
ბა გამოყენებულია ჰაერის ტენი-  
ანობის გაზომვ ზელსაწყობში —  
გეგრომეტრში.

... რომ ყველაზე მაღალი ღრუ-  
ბლები, როგორც დღემდე ცნობი-  
ლია, — ავერცხლისფერი ღრუბე-  
ლია“. ეს მეტად ნათელი, თხელი,  
მბრწყინავე, გამჭვირვალე შენა-  
დენია. ეს ღრუბლები ბილვადენია  
ზაფხულის დამეგში, ჩვეულებე-

რივ, ცის ჩრდილოეთ ნაწილში,  
პორიზონტის ახლო. მათ ანათებს  
პორიზონტის ქვეშ მყოფი მზე. ამ  
ღრუბლების სიმაღლეს 80-85 კი-  
ლომეტრს ვარაუდობენ.


... რომ წყალს, ახლოლტურად  
სუფთა მდგომარეობაში, შეუძლია  
ცუდებოდეს მინუს 10-15 გრა-  
დუს ტემპერატურამდე და არ გაი-  
ყინოს. მაგრამ ჩამკარისია მასში  
ჩავარდეს თოვლის ფოფკი ან ყი-  
ნულის ნამცევი, რათა წყალი  
უცდეს გაიყინოს.

... რომ ადამიანისა და ცხოველის  
სხეულები განუწყვეტლბე გამო-  
ყოფენ სითბოს. გამოყოფილი  
სითბოს რაოდენობა დამოკიდებუ-  
ლია სხეულის ზედაპირზე: რაც  
უფრო დიდია ადამიანი, მით უფ-  
რო დიდ სითბოს გამოყოფს იგი.  
ადამიანი „იბურძგნება“ იმის  
თვის, რომ შეამციროს სხეულის  
ზედაპირი.

... რომ თუ თქვენ ხელის გულ-  
ზე დაისხამთ ცოტა სპირტს ან  
ეთერს, რამდენიმე ხნის შემდეგ,  
ეს სითხე აორთქლდება, ხოლო  
თქვენი ხელისგული გაგრილდება.  
ეს იმითმ მოხდება, რომ ეთე-  
რის ან სპირტის ასაორთქლებე-  
ლად საჭიროა სითბო. ამავე მიზე-  
ზით, სველ ტილოშეშობევეულ  
ბოთლოში რძე ცვიან.

... რომ 1 ლიტრი ჰაერი იწო-  
ბის დაახლოებით 1,2 გრამს, ხო-  
ლო კუბური მეტრი (1000 ლიტ-  
რი) 1,2 კილოგრამს, მაშასადამე  
15 კვადრატული მეტრი ფარ-  
თობისა და 4 მეტრი სიმაღლის  
მქონე ოთახის ჰაერის წონა შეად-  
გენს 72 კილოგრამს — ერთი  
მოხრდილი ადამიანის წონას.

მ. დეპერაძე



აქ, ამ ნახატზე ნაჩვენებია დე-  
დამიწის გზა მზის ირგვლივ.  
იანვარში დედამიწა იმყოფება ყვე-  
ლაზე ახლო მანძილზე მზესთან.  
მაგრამ წელიწადის დროები და-  
მოკიდებულია არა დედამიწის სი-  
შორეობაბლოვეზე მზისგან, არა-  
მედ დედამიწის დერძის მიხრილო-  
ბისაგან. ზამთარში დედამიწის  
სამხრეთი ნახევარსფერო მიშვერი-  
ლია მზისკენ, ხოლო ჩრდილოეთი  
ნახევარსფერო დებულობს ნა-  
კლებ სითბოსა და სინათლეს, მას-  
ზე ზამთარია.





# გარეული ტახის მზის აბაჯანები



ბუჩქებში გამოიხდა გარეული ტახის უზარმაზარი თავა სასტიკი ეშვებით. იგი მიდიოდა ტოტების მტკრევით და ზურგიდან თოვლის ბერტყვით. ტახი ტყის მოტიტკლო-ბულ ადგილზე გამოვიდა. ციკმა ზამთარმა და შიმშილმა ღონე გამოუღია ამ წაბლისფერ, ხშირჯაგრიან ვოლიათ ნადირს. და ახლა, როგორც კი შეხიშნა კავკასიონის ქედებიდან ამომავალი მზის სხივები, გამოეხსრა და მის შესახვედრად და მოშიშვლებულ ადგილისაკენ გამოსწია. დიდხანს ელოდა ტახი მზეს, მაგრამ მზე თოვლიან-ყინულიანი მაღალი მთების ხშირი ნისლიდან ვეღარ სწვდებოდა ტყეში.



მზე! მზე! გარეული ტახი მთელი ტანით თრთოდა და მიესალმებოდა მის სხივებს. გადმოლახა რა ქედი, ტახი მოხვდა წიფლის ტყით დაფარულ ფერდობზე, აქ იგი დიდხანს იკვებებოდა — ჰპოულობდა გასული წლის ფოთლებში შემორჩენილ წიწიბოს...

და ცხვირით მთელი ძალით შეისუნთქავდა ჰაერს, თითქოს ამით ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სითბო შეესრუტა. სიზანტე და თვლება სულ უფრო და უფრო ერეოდა მას. მზე უკვე მაღლა იყო. კარგად დათბა. მთების ფერდობებზე ეი ციმციმებდა თვალისმომკრეხად თეთრი თოვლი.

და აი, ახლა მან ნახა მთის ფერდობზე პატარა მოედანი, სადაც უხვად სწვდებოდა მზის სხივები. ამ მოედანზე თითქმის აღარ იყო თოვლი. გარეულმა ტახმა იწყო აქეთ-კენ ფიჩხის ზიდვა — ხან პირით, ხან თავისი ძალუმი მკერდისა თუ წინა ფეხების წაბიძგებით. ბოლოს გამოიწყო მან „საწოლი“. ფიჩხის გროვში ჩაიფლო მძიმე, უზარმაზარი ნადირი. სითბომ დაუარა მას მთელ ტანში. იგი თითქოს ცურავდა მზის სხივების აბაჯანში — მიუშვერდა ხოლმე მზეს ხან ქუჩყიან, ჯაგრიან გვერდებს, ხან ზურგს, გორავდა, ღრუტუნებდა

პირდაპირი მზის სხივები აუცილებელია ზოგიერთი ცხოველისათვის. მზის სხივების ნაკლებობა იწვევს ცხოველის ორგანიზმის მძიმე მოშლილობას და პირველყოფისა, ძვლების დაავადებას — რახიტს. ულტრა-ისფერი სხივები კი, რომლებიც შეიცავს მზის სხივების სპექტრის ნაწილს, ფლობენ სასწაულომოქმედ თვისებებს წარმოქმნან თვით ორგანიზმში რახიტის საწინააღმდეგო მოქმედების მქონე ნივთიერება — ვიტამინი „დ“. ამის დამამტკიცებელია, თუნდაც, ცხოველთა ინსტიტუტი ლტოლვა მზის აბაჯანებისაკენ.

ლ. მგვილობაძე

## კ უ რ ი დ ი ს კ უ ნ ძ უ დ ე ბ ი

კურილია კუნძულების ჯაქს წარმოადგენს. ეს ჯაქვი ოხოტის ზღვას გამოყოფს წყნარ ოკეანესაგან. მეორე მსოფლიო ომამდე კურილის კუნძულებზე იმპერიალისტური იაპონია ბატონობდა, ამ ომში იაპონიის დამარცხების შემდეგ, კურილის კუნძულები საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოექცა. საინტერესოა კურილის კუნძულების ბუნება...

ტბებად იქცევიან. ეს ტბები იმდენად თბილია, რომ ზამთრობით შესაძლებელია მათში ბანაობა; როცა მიწა თოვლითაა დაფარული, კურილის ზოგიერთ კუნძულზე შეხვდებით მდინარეებში მობანავე ადამიანებს.

კურილია — ეს ვულკანების მხარეა. ზოგიერთი ვულკანი მოქმედია. 1946 წელს მაცოევის კუნძულზე ვულკან სარიჩევმა ამოხეთქა. ვულკანის მოქმედება ისეთი ძლიერი იყო, რომ მისი ფერფლი აღწევდა კამჩატკის პეტროპავლოვსკს, ხოლო თვით კუნ-

ზამთარში, ზუსტად ამინდსა და ყინვაში, ამ კუნძულებზე დედამიწის სიღრმიდან ამოქვებს ცხელი წყაროები, რომელნიც ხშირად

ქელზე ფერფლის ფენა ოთხი მეტრის სიმაღლეზე იდო.

კურილის კუნძულებზე ხშირია არა მარტო მიწისძვრები, არამედ ზღვის ძვრებიც. ეს ზღვის ძვრები გამოწვეულია წყალქვეშა ამოხეთქვით, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ ზღვაში მყოფ გემებზე გრძობენ ძლიერ ბიძგებს.

კურილის კუნძულების ცხოველთა სამყარო მდიდარია. აქ შეხვდებით კატებს (კოტიკი), ზღვის წავეებს, რომელთაც აქვთ ლამაზი და თბილი ბეწვი. ზაფხულობით კურილის სამხრეთ-კუნძულებთან, წყლის ზედაპირზე, ხშირად გამოჩნდებიან ვეშაპები და მიემართებიან ბერიანის ზღვისაქენ. ამ დროს ჩაღდება ვეშაპებზე ნადირობა.

კურილის კუნძულებზე მთელი წლის განმავლობაში იწყვიან მეთევზეობას. აუარბელი სხვადასხვა ჯიშის თევზი ცხოვრობს

ზღვაში. კუნძულების მტკნარწყლიან მდინარეებსა და ტბებში იჭერენ გემრიელ კალმახსა და ორაგულს.

გაზაფხულზე კურილის კუნძულების შიშველი, მიუღვამელი კლდეები ცოცხლდება და იფარება მწვანით. ათასობით მოფრინავენ აქ ფრინველები, რათა გამოჩვენონ ბარტყები. შეუწყვეტილი ისმის ფრინველთა ჭიკჭიკი და ყრიამული. აქ ნახავთ ყოველნაირ ფრინველს: იხვებს, ტყის ქათამებს, თოლიებსა და სხვა მრავალს.

იაპონელების ბატონობის დროს კურილის კუნძულებზე გარეული ცხოველები და ფრინველები მტაცებლურად ნადგურდებოდა, ახალა კი, როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა მხარეში, კურილის კუნძულებზედაც გეგმიანად ნადირობენ გარეულ ცხოველებსა და ფრინველებზე.

კ. ლეიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბ. ბერულავა — პიონერების წერილი მიხეილ ქიურელს (ლექსი)	1
პ. ლორია — იმ ზღვის იქით (მოთხრობა, დასასრული)	2
გ. ხონელიძე — საუბარი კონსტიტუციაზე (წერალი)	8
ლ. ბურჭულაძე — კორეულ ბიჭუნას (ლექსი)	10
მარიჯანი — კეთილი გულით (ნარკვევი)	11
ი. აბაშიძე — რას ვადაუტრჩა თბილისი (პოემა, ვაგრაქმელება)	13
ი. ალექსიშვილი — რაზმი, სადაც არცერთი პიონერი არ ჩამოჩნდება (ნარკვევი)	18
საპი ძმა — (კორეული თქმულება, თარგმანი გრ. ბერძენიშვილისა)	20
ბ. ბეთანელი — მეცნიერების კერა ანასტასიის (ნარკვევი)	21

მ. ჯაფარიძე — საჩინოს ბურთი (პიესა)	23
გ. ლომიძე — თბილისის ისტორიულ-უცხო-გრაფიული მუზეუმი (წერილი)	28
ენობისმოყვარეთა კუთხე	30
ი. გრიშაშვილი — ხალხის რჩეული (ლექსი) ვარკეთილის	მე-2 გვ.
გასართობი	მე-3 გვ.
ვარკეთილის პირველ გვერდზე ნახატი — აქ დაიბადა სტალინი — შესრულებულია ა. გოგოლაშვილის მიერ.	
ვარკეთილის მეოთხე გვერდზე ვ. ჩერკასოვის ფოტო-ეტიუდი — ეგნატე ნინოშვილის ყრობის მფობარე მოხუცი ი. როყვა მწერლის საფლავთან უყვება მოსწავლეებს თავის მოგონებას ე. ნინოშვილის ბავშვობის წლებზე.	

ბრეჟცვითი ბ. ძ ბ ბ ნ ი ძ მ. საბრეჟცვით ვოლუგია: მ. აბლაძე, ლ. ბგრიტიშვილი, მ. მარ-ღინაშვილი, ბ. თაგზინაშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნიშნაძე, ზ. შინგალია. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. თორაძე.

სამხატვრო ბრეჟცვითი ბ. ფონტინაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

შე 00003 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შტე. № 1 სტამბის შტე. № 1512  
 ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნსტი“, ლენინის ქ. № 14  
 ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ფესტ-მანქანაზე.

# საბავშვო ჟურნალი

## მონხუი და ბავშვები

ერთი მონხუი ქუჩაში გამოვიდა. გაყინულ ქვაფენილზე ფეხი დაუცურდა და დავარდა. ამ დროს ქუჩაზე ბავშვები გამოჩნდნენ. ნაცელად იმისა, რომ მონხუის მიშველებოდნენ, მსჯელობა დაიწყეს.

— საინტერესოა, — თქვა ლეომ, — წამოდგება თუ არა თავისით?

— მე შეგონია ვერა. — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— ჩემი აზრით, წამოდგება. — თქვა იაგომ.

მხოლოდ შალვა იყო ჩუმად. იგი მივიდა მიხუტთან და მიეშველა. მონხუი რომ წამოდგა, შალვას უთხრა:

— გაიხარე, შვილო, შენი თავაზიანობით გამახარე და გული გამითბე. ტყვილიც დამიამდა.

— ჩვენ ხომ გული არ გატყინეთ, ბაბუა? — ჰკითხა ლეომ.

— კი, შვილო, თქვენ გული მატყინეთ, — უბასუხა მონხუცმა. — ნაცელად იმისა, რომ საკმით მომშველებოდით, თქვენ ყბედობდით. მე მაგონდება ორი ბავშვი, რომლებიც ფერადი ფანქრების გამო ერთმანეთთან ვერ შეთანხმდნენ და დაობენ.

— მომეცი ერთი ფანქარი, — ამბობს ერთი, — მაშინ მე შენზე ორჯერ მეტი ფანქრები შექნება.

— უმჯობესია მე მომცე ერთი ფანქარი,

— უბასუხებს მეორე, — მაშინ ჩვენ ფანქრები თანაბრად გვექნება.

— მართლაცადა, როგორ უნდა მოიქცნენ? — იკითხა იაგომ.

— ზრდილობიანობა, ბავშვებო, შეთანხმებამდე მიგვიყვანთ. უბრალოზე არ უნდა ილავოთ. — თქვა მონხუცმა.

— რამდენი ფანქარი ჰქონია თითოეულს? — იკითხა დაინტერესებულმა შალვამ.

— ამის გამოცნობა კი თქვეთვის მომინდვია, — თქვა დიმილით მონხუცმა და გზას გაუღდა.



## ბ ა მ მ ი ს ა ნ ი თ

თამაზი და ნათელა ყურადღებით ათვალიერებენ ახალნაყიდ წიგნს.

— რა იაფია ეს წიგნი, — თქვა თამაზმა. — სულ 5 მანეთი და 50 კაპიკი ღირს.

— და ისიც ყდიანი, — დაუმატა ნათელამ. — საინტერესოა, რამდენი ღირს ყდა?

— აბა, გამოიკანი, ნათელა, წიგნი 5 მანეთით ძვირია ყდაზე.

— ამას რა გამოცნობა უნდა, — გაეცინა ნათელას. — ყდა ღირს 50 კაპიკი.

— არა, არც ასე ადვილია, შენ რომ ფიქრობ. აბა, დაუფიქრდი.

ნათელა ჩაფიქრდა.

თქვენ რას იტყვით, რამდენი ღირს ყდა?

ლ. კაგნიძე



